საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი. 2017 წ. №214 (8351), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პროვოკატორი ნაციონალებისგან გადავარჩინოთ თბილისიც და სრულიად საქართველოც!



ქართველთმოძულე ნაციონალების წინასაარჩევნო გააქტიურება, უწინარესად, ჩვენი, ხალხის და, რასაკვირველია, ხელისუფლების სიძაბუნის ბრალია.

სამართლიანობა სრულად ვერა და ვერ აღდგა ქვეყანაში, რომლის სათავეში კვლავ მოსასვლელად სწორედაც ქვეყნის ხარჯზე შეკერილ ჩოხებს ისწორებენ ამჟამად პოლიტიკური მაწანწალისა და ბოროტმოქმედი სააკაშვილის რამდენიმე ფრონტად გაშლილი მავნე ნარჩენები.

ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავერთიანდეთ და საერთო ძალისხმევით დიახაც ამ მავნებელი და ცრუპატრიოტულნიღაბაფარებული ნაციონალებისგან გადავარჩინოთ თბილისიც და სრულიად საქართველოც!

ნუთუ შეიძლება იმ ჯოჯოხეთის დავიწყება, რომელ ჯოჯოხეთშიც თითქმის მთელი ათი წელიწადი წელებზე ფეხებდადგმულებმა ვიარეთ!

სააკაშვილის ფსიქოპორტრეტი 3 ჩოულაყის ფენომენი

რუსთავქალაქზე ზრუნვა მისი ცხოვრების მიზანია

5

გიგა ჯღარკავა

გმირები სამხედრო პატივით დაკრძალეს

აფხაზეთში დაღუპული გმირები სამხედრო პატივით დაკრძალეს, მათგან 20 – დიდმის ძმათა სასაფლაოზე, ხუთი კი, სხვადასხვა სასაფლაოზე. ისინი სამების საკათედრო ტაძრიდან სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ გამოასვენეს. მანამდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაღუპულების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

კახი კალაძის პასუხი „გამჭვირვალობას“ – სიცრუის არასამთავრობო მანქანას!

– „ეს არის ძალიან დიდი სიცრუე, ტყუილი. სამწუხაროა, რომ მიზანმიმართული სიცრუის პროპაგანდისტული მანქანა ჩართულია იმ კონკრეტული არასამთავრობოების სახით, რომელზეც თქვენ საუბრობდით. ძალიან სამწუხაროა, რადგან ჩვენ ეს ყველაფერი 2012 წელს ჩავაბარეთ წარსულს. არავითარ ადმინისტრაციულ რესურსს არ ვიყენებთ! ყველას კარგად გვახსოვს, რა მდგომარეობა იყო 2012 წლამდე, როგორი დამოკიდებულება იყო განსხვავებული პოლიტიკური აზრის მქონე ადამიანების მიმართ. დღეს, საბედნიეროდ, აბსოლუტურად განსხვავებული რეალობა გვაქვს, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას და კანდიდატს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავისუფალ გარემოში აწარმოონ საარჩევნო კამპანია. თუ კონკრეტულ კანდიდატებთან ხალხი არ გამოდის შეხვედრაზე, ეს „ქართული ოცნების“ და ჩემი პრობლემა ნამდვილად არ არის. შესაბამისად, რაც შეეხება იმ ცრუ ბრალდებებს, პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ“, – განაცხადა კალაძემ.

საკაბელო ოპერატორების ნაწილმა ექვსი ქართული არხი პროტესტის ნიშნად გათიშა

საკაბელო ოპერატორების ნაწილმა ექვსი ქართული არხის მაუწყებლობა გუშინ პროტესტის ნიშნად გათიშა. ამის მიზეზი ტელეკომპანია „მაესტროს“, „იმედის“, GDS, „რუსთავი-2“-ის, „მარაოს“ და „კომედი არხის“ გადაწყვეტილება გახდა, რომლის თანახმად, ტელევიზიებს სიგნალის გავრცელებისთვის საკაბელო ოპერატორებმა თანხა უნდა გადაუხადონ. საუბარია დამატებით 2 ლარზე.

„ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, საკაბელო ოპერატორებმა ამოწურეს მოლაპარაკებების წარმოების ყველანაირი შესაძლებლობა. ამიტომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება, საპროტესტოდ ყველამ გათიშოს მითითებული არხები.

თუ ეს არხები ხდება ფასიანი, ჩვენ გვაქვს თხოვნა, რომ ამ არხებმა გამოაცხადონ: „ჩვენი არხები ხდება ფასიანი და ვისაც გსურთ რომ გვიყუროთ, თქვენ უნდა გადაიხადოთ ფული, თქვენ უნდა გამოიწეროთ ჩვენი არხი“, – განაცხადა პრესკონფერენციაზე საკაბელო ოპერატორების წარმომადგენელმა თეონა ბერუაშვილმა. საკაბელო კომპანიები კი, დისკრიმინაციულ მიდგომაზე საუბრობენ. „ნიუკომის“ ხელმძღვანელმა ზაზა აგლაძემ განაცხადა, რომ „თუ სხვებს ეკუთვნის უფასოდ ამ არხების ტრანსლირება, იგივე უნდა ხდებოდეს პატარა საკაბელო ოპერატორებისთვის“.

ამ ფაქტს საკაბელო ოპერატორი „მაგთიკომი“ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ **„მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა, რომ ტელეარხები სატრანზიტო მაუწყებლებს მათი არხების ტრანსლირების სანაცვლოდ, გარკვეული საფასურის გადახდას სთხოვენ. ქართულმა არხებმაც მისდიეს აღნიშნულ საერთაშორისო პრაქტიკას, რასთანაც „მაგთიკომს“ პრინციპული წინააღმდეგობა ვერ ექნება. „მაგთიკომი“ ყველა უცხოურ და ქართულ ტელეარხთან, ან კონტენტ პროვაიდერთან მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებას და ეს შემთხვევაც არ არის გამონაკლისი. „მაგთიკომი“ ვერ დატოვებს მომხმარებლებს რეიტინგული ქართული არხების გარეშე და აუცილებლად გააგრძელებს მათთვის ქართული ტელეარხების მიწოდებას“,** – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს სჯერა, რომ ნატო უზრუნველყოფს მისი წევრების სტაბილურობასა და მშვიდობას

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა იტალიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა რომში ნატოს თავდაცვის კოლეჯის უმაღლესი კურსის მსმენელებთან, ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებთან და სამხედრო ატაშეებთან.

გიორგი მარგველაშვილმა ნატოს თავდაცვის კოლეჯში საჯარო ლექცია წაიკითხა და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ არჩევანზე და საქართველოს გეოპოლიტიკურ როლზე და რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოზე ისაუბრა. გიორგი მარგველაშვილი განსაკუთრებულად მიესალმა კოლეჯის ქართველ კურსანტებს და მათ წარმატებული პოლიტიკური და სამხედრო კარიერა უსურვა.

როგორც საჯარო გამოსვლისას პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანვე განსაზღვრა ქვეყნის მომავალი განვითარების მიმართულებად – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, იმის მიუხედავად, რომ იგი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის სამიზნე იყო.

გიორგი მარგველაშვილმა იმ უნივერსალური ფასეულობების შესახებ ისაუბრა, რომელიც ნატო-ს ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად და აღნიშნა, რომ ნატო კოლექტიური თავდაცვის მთავარი ინსტრუმენტი და გლობალური უსაფრთხოების მთავარი გარანტია.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ნატომ, როგორც საერთო ფასეულობებზე დაფუძნებულმა ორგანიზაციამ, შექმნა უსაფრთხოების ეფექტიანი ქოლგა, რომელიც უზრუნველყოფს მისი წევრი ქვეყნების სტაბილურობისა და მშვიდობის დაცვას. საჯარო გამოსვლის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოაწერს ხელს საკონსტიტუციო ცვლილებებს

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს საკონსტიტუციო ცვლილებებზე ხელმოსაწერად ერთკვირიანი ვადა აქვს. კობახიძე ამბობს, რომ ტექნიკური საკითხია, დოკუმენტს ხელს ვინ მოაწერს.

„იმას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ მოაწერს ხელს საკონსტიტუციო ცვლილებებს. მთავარია, რომ ცვლილებები ძალაში მას შემდეგ შევა, რაც რამდენიმე თვე გავა და ფორმალური პროცედურა დასრულდება“, – განაცხადა კობახიძემ.

პარლამენტმა კონსტიტუციურ პროექტზე პრეზიდენტის ვეტო 13 ოქტომბერს დაძლია და დოკუმენტი ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაუგზავნა. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კონსტიტუციურ პროექტს ხელს არ მოაწერს, მისი ხელმოწერის უფლებამოსილება პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს.

7 დეკემბრამდე უჩა ნანუაშვილის გაძლება არ გინდა?..

– აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე ჯერ კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

„ჯერჯერობით აქტიური კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა. უახლოეს დღეებში დაიწყება კონსულტაციები და ნოემბრისთვის დასახელდება კანდიდატი და, სავარაუდოდ, უკვე ნოემბრის თვეში იქნება არჩეული ახალი სახალხო დამცველი. ...რაც შეეხება ქალბატონ თამარ ქალდანს, მე მას დიდ პატივს ვცემ, იქნებოდა ძალიან კარგი სახალხო დამცველი, თუმცა ჯერჯერობით კონსულტაციები ამ საკითხზე არ გვქონია მმართველ გუნდში“, – განაცხადა კობახიძემ. სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს უფლებამოსილება 7 დეკემბერს ეწურება.

მორიგი დაპირისპირება სემეკში – გუგავას სხდომა დაატოვებინეს

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე „ლეიბორისტული პარტიის“ წევრები მივიდნენ.

მერობის კანდიდატი გიორგი გუგავა კომისიის წევრებისთვის ტარიფებთან დაკავშირებით კითხვების დასმას ცდილობდა, რისი საშუალებაც მას არ მისცეს. სემეკის წევრებმა გუგავას განუმარტეს, რომ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავდნენ და არა ტარიფებს, რასაც ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. გიორგი გუგავას დარბაზი დაატოვებინეს.

სამმხრივი სამხედრო თანამშრომლობა

თბილისში, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის თავდაცვის უწყებების სამმხრივი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც სამ ქვეყანას შორის სამხედრო სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები იქნა განხილული. შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს რეგიონალურ უსაფრთხოებაზე, რეგიონში ეკონომიკური პროექტებისა და ენერგომატარებლების ერთობლივი თავდაცვის საკითხებზე. სამმხრივ შეხვედრაზე განხილულ იქნა მთიანი ყარაბახის საკითხი, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, თურქეთში არსებული პოლიტიკური პროცესები და რეგიონში არსებული ვითარება. შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეებმა ერთობლივი მუშაობის შესახებ პროტოკოლი გააფორმეს.

შსს-ს იტალიის რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს იტალიის რესპუბლიკის საპოლიციო ძალების გადამზადების სკოლის დირექტორი, ფინანსური გვარდიის დივიზიის გენერალი ჯენარო ვეკიონე და ნეტუნოს ინსპექტორთა ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პოლიციის გენერალი ჯოვანი ბუსაკა თანმხლებ დელეგაციასთან ერთად ეწვივნენ.

სტუმრებს შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი შეხვდა. მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესახებ ისაუბრეს.

შალვა ხუციშვილმა სტუმრებს შსს-ს აკადემიის რეგიონული ტრენინგცენტრის პროექტი გააცნო. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის ტრანსნაციონალური მიმართულებით ორგანიზებულ საერთაშორისო ტრენინგს საქართველოს შსს-ს აკადემია უმასპინძლებს. **მხარეები საქართველოსა და იტალიის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე შეთანხმდნენ, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული გამოცდილების გაზიარებას, დანაშაულის პრევენციას და მაღალკვალიფიური კადრების მომზადებას.**

ესეც თუ ტელევიზიაა?!

საპატრიარქო „რუსთავი-2“-ს ტენდენციურობაში, ჟურნალისტური ეთიკის დარღვევასა და არაობიექტურობაში ბრალს სდებს!

საპატრიარქო „რუსთავი-2“-ის ეთერში გასულ სიუჟეტებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს საპატრიარქო ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გასულ ინფორმაციებთან დაკავშირებით, რომლებიც საპატრიარქოში მომუშავე პერსონალის მოსყიდვასა და დოკუმენტებზე შორენა თეთრუაშვილის ხელმოწერას უკავშირდებოდა, საგანგებო განცხადებას ავრცელებს. განცხადებას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„რვა თვეზე მეტია, საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით სხვადასხვა ძალების მხრიდან მუდმივ შემოტევებს განიცდის.

ჩვენ მაქსიმალურად ვიკავებთ თავს პასუხის გაცემისაგან, რადგან არ გვინდა პროცესების გამწვავება, მაგრამ „რუსთავი-2“-ის ა.წ. 14 ოქტომბრის გადაცემასთან დაკავშირებით განმარტებას გავაკეთებთ, რადგან ამჟამად უკვე ბრალდების ობიექტი, საპატრიარქოს თანამშრომლებთან ერთად, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც გახდნენ.

სიუჟეტში ითქვა, თითქოს საპატრიარქოს მხრიდან გარკვეული ანაზღაურების ფასად ხდებოდა ციხიდან პატიმრების გათავისუფლება; ამ ჭორს სხვა სახით ადრეც ავრცელებდნენ, ამჯერად კი კორუფციული გარიგების თანამონაწილეებად დაასახელეს მეუფე თეოდორე, მზექალა ჭინჭარაულ-ქარსელაძე, შორენა თეთრუაშვილი, ასევე ქალბატონები ეკა ბესელია, ირმა ჭკადუა, ნანა კაკაბაძე.

საპატრიარქოსთან არსებული „მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელი კომისია“ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფთა შესახებ მხოლოდ სარეკომენდაციო მასალებს ამზადებს და მას მსჯავრდებულთა შეწყალებასთან შეხება არა აქვს. სიების შედგენაში კი, აღნიშნულ ქალბატონთაგან არცერთს არასოდეს მონაწილეობა არ მიუღია (გარდა ქ-ნი მზექალასი; ამას იგი თავის თანამშრომლებთან ერთად აკეთებს).

იმავე გადაცემაში პატიმრებთან დაკავშირებით ეკლესიის ჩართულობის თაობაზე ისაუბრა შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ზვიად ქორიძემ, მაგრამ სიუჟეტის ავტორებმა სიცრუის ტირაჟირება არჩიეს და ტელემაყურებლისთვის დაცვის ყოფილი უფროსის იოსებ ოხანაშვილის ცილისწამებების და თავისი ინტერპრეტაციების თავსმოხვევა სცადეს.

ვფიქრობთ, მიზანმიმართული ქმედებიდან მომდინარეობდა „კურიერში“ გაჟღერებული მეორე თემაც – დოკუმენტებზე შორენა თეთრუაშვილის ხელმოწერასთან დაკავშირებული უსაფუძვლო ბრალდება.

დაინტერესებულ პირებს განვუმარტავთ, რომ მდივან-რეფერენტის ხელმოწერა ხდებოდა და ხდება კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დელეგირებული უფლებით.

ბოლოს კი დავძენთ: სასამართლო პროცესებიდან დაუდგენელი პიროვნების მიერ შერჩეული, ამოგლეჯილი მასალების მასმედიაში გასაჯაროება, თანაც მიცემული ჩვენებების ტენდენციური გაშუქება, ვფიქრობთ, უხეშად არღვევს ჟურნალისტურ ეთიკას, რაც ამა თუ იმ არხის არაობიექტურობაზე მეტყველებს და მათ დაინტერესებულ მხარედ წარმოაჩენს“, – ნათქვამია განცხადებაში.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თაოსნობით 23 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში გაიმართა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი – 2017. სწორედ ამ ფესტივალის პერიპეტიებზე ვესაუბრეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის თანამშრომელს, დოქტორ ალექსი მირიანაშვილს.

– ბატონო ალექსი, რა იყო მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის მიზნები და ამოცანები?

– 2015 წელს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულით მასშტაბურად და საყოველთაოდ პირველად აღინიშნა მეცნიერების საერთაშორისო დღეები, ხოლო 2016 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან ტრადიციას, რომელიც გაგრძელდა 2017 წელსაც. საქართველო კვლავ მასპინძლობდა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალს და შეუერთდა მსოფლიოს იმ წამყვანი ქვეყნების რიცხვს, სადაც ანალოგიური ფესტივალები იმართება.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის მიზნები არის სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია; ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა; ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის; საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება; მკვლევართა მოტივაციის ზრდა; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება.

– რითი იყო გამორჩეული წლევანდელი ფესტივალი წინამორბედებისაგან?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფესტივალმა მოიცვა ქვეყნის ყველა რეგიონი და თავისი მასშტაბურობით გაცილებით მეტი დატვირთვით გამოირჩეოდა, ვიდრე 2015-2016 წლებში გამართული ანალოგიური ღონისძიებები. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2017 წლის მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალის ხანგრძლივობა იყო 15 დღე – ერთი კვირის ნაცვლად წინა წლებთან შედარებით. ფესტივალის მსვლელობისას გამართა 300-მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება, სადაც აქტიურად იყო ჩართული მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ 2017 წელს ფესტივალში იყო ჩართული გაცილებით მეტი ნიჭიერი ახალგაზრდობა, ვიდრე წინა წლებში.

– რა ფორმით იღებდა მონაწილეობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ამ ფესტივალში?

– აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამივე წელს იყო აქტიურად ჩართული ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში. აკადემიის ექსპოზიციაში იყო წარმოდგენილი აკადემიკოსების, წევრ-კორესპონდენტების, გამოჩენილი მეცნიერების უნიკალური ნაშრომები გამოცემული როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, ჩინეთი, რუსეთი და სხვა). აკადემიის მონაწილეობამ ინოვაციურ გამოფენაში გამოიწვია მეცნიერული და ტექნიკური ინტელიგენციის ძალიან დიდი დაინტერესება. უნიკალური წიგნების გამოფენის გარდა, მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა ლექცია-სემინარებში, სადაც ასახული იყო ქვეყნის ინოვაციური განვითარების ასპექტები. ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ აკადემიის ყველა განყოფილებამ მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებებში, რომელთაც დაესწრო ფართო საზოგადოება (მეცნიერები, ინჟინრები, სტუდენტები და მოსწავლეები).

ნათია ვადაჭკორია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური

სააკაშვილის ფსიქოპორტრეტი

ჩოყლაყის ფენომენი

სააკაშვილი დეპერსონალიზებულია ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მეტსახელად ჩოყლაყი შეარქვეს. იგი მხოლოდ კონკრეტული გვარისა და სახელის მქონე პიროვნებად, რომელსაც რაღაც გარკვეული ადამიანური ისტორია – წარსული, აწმყო და მომავალი აქვს, ვერ აღიქმება, არამედ უდავოდ არის ფენომენი. ამ ფენომენს, ალბათ, „პოსტსაბჭოური დაცენტრილობის პარანოიკული განყენებულობა“ უნდა ვუწოდოთ.

ეს ფენომენი გამორჩეულად პოსტსაბჭოურია. არსად, სადაც ვითარება მეტ-ნაკლებად დალაგებულია და პოსტსაბჭოურად „აჭრილი“ არ არის, თანაც ამ „აჭრილობას“ საბჭოური, ე.ი. ზე-ცენტრალიზებული ტოტალიტარიზმის პრეისტორია არა აქვს, ასეთ ფენომენალურ მოვლენას ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს; სწორედ პოსტსაბჭოური გაუგებრობის, როცა ცენტრალიზმისა და „ცენტრების“ საყოველთაო ნგრევის პირობებში ყველაფერი ერთმანეთშია აზელილ-დაზელილი, მყარი ადგილი და მკაფიო საზღვრები აღარაფერს აქვს, როგორც უადგილობისა და უნიადაგობის ერთგვარი კვინტესენცია, წარმოიშვა ეს ფენომენი.

ბუნებრივია, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან პიროვნების ასეთი ფენომენალური მდგომარეობა სრულიად შეუთავსებელია; სააკაშვილი ისედაც, როგორც გარკვეული ფსიქოტიპი, მიდრეკილი გახლდათ ფსიქიკური აშლილობისკენ და არ არის გასაკვირი, რომ მისი ექსცენტრულობა გარკვეულ დროსა და ვითარებაში ჩოყლაყურ პარანოიად – დაცენტრილობად ჩამოყალიბდა; დაცენტრილობად იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ჩოყლაყს დაკარგული აქვს სამყაროში ადგილის ყოველგვარი განცდა და გრძნობა, სადაც ფიზიკურად არის ან ფიზიკურად არც არის, მაგრამ თუნდაც წარმოსახვაში უკავშირდება აუცილებლად კოორდინატთა სათავედ, ათვლის წერტილად – ადამიანების, საგნების, მოვლენების, მეტიც – მთლიანად სამყაროს ცენტრადაც და ერთადერთ განზომილებადაც წარმოუდგენია თავი.

ასეთი პარანოიდალურად ეგოცენტრული აღქმა, ბუნებრივია, ნებისმიერი რეალობისგან განყენებულია და უარესიც: თავად რეალობას ანგრევს. იგი იმთავითვე დამამხობელი ვნებით არის შეპყრობილი ნებისმიერი

რა ადგილი უნდა მივუჩინოთ ამ პიროვნებას და უნდა გასამართლდეს თუ არა იგი? დიახ, უსათუოდ უნდა გასამართლდეს, თუკი – საერთოდაც შერაცხადია! არის თუ არა მიხეილ სააკაშვილი, როგორც პიროვნება, შერაცხადი? ამ კითხვას მხოლოდ კვალიფიციურმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი.



საგნის, მოვლენისა თუ არსის, მიმართ, რაც სივრცის ასეთ ეგოცენტრულ, უფრო სწორად – დაცენტრილ კონსტრუირებაში ხელს უშლის. სწორედ ამიტომაც არ ცნობს იგი არავითარ საზღვრებს. სწორედ ამიტომაც ძირს უთხრის ის ყველას (დაწყებული იგივე შევარდნაძისგან, ან თუნდაც ჟვანიასგან, დამთავრებული უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტით), ვისაც თუნდაც მხოლოდ ფორმალურად უკავია რაიმე ცენტრალური ადგილი; სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა თბილისის ცენტრში პარლამენტის შენობის დანგრევა და ამ ცენტრალური პოლიტიკური დაწესებულებისთვის ქუთაისის ყველაზე ჭაობიან მიდამოში ადგილის მიჩენა. რასაკვირველია, ეს პარანოიკული ახირება „დეცენტრალიზაციასთან“ არაფერ კავშირში არ იყო და მხოლოდ პარანოიკული დაცენტრილობის სინდრომს გამოხატავდა, ისევე, როგორც არქიტექტურით მისი გატაცება და ამ მიმართულებით მისი „შემოქმედებითი“ ვნებანიც – სივრცის დეკონსტრუქციისა და საკუთრივ მისი პერსონალური დაცენტრილობის თვალსაჩინოებაა.

რასაკვირველია, ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ეს პარანოიკული დაცენტრილობა, არა ყოველთვის და ყველგან, არამედ სწორედ მხოლოდ პოსტსაბჭოურად „აჭრილ“, ზღვრულ ვითარებებში, უდავოდ მრისხანე იარაღია; როცა სიტუაცია ზღვარზეა, ჩოყლაყის, როგორც პოლიტიკური ლიდერის წარმატებულობისა და პოპულარობის საიდუმლო ის გახლავთ, რომ მაგნიტივით იზიდავს ყველას, ვისაც ძალაუფლების ჟინი ამოძრავებს, იგი ძალაუფლებისთვის მებრძოლი ყველა აქტივისტის ქარიზმაა და არც თუ იშვიათად, საკუთარი თავის გარშემო ყველასა და ყოველივეს მობილიზებულ დაცენტვრასაც აღწევს.

მან მოახერხა და ე.წ. ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული – მართლაც დაცენტრა საქართველო. მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა ამ მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება. იგი საბოლოოდ საკუთარ ხალხს დაერია, რადგან დემოკრატიისას სწორედ ხალხია ცენტრალური სუბიექტი, ხოლო დაცენტრილი ჩოყლაყისთვის კი ნებისმიერი რამ, რაც ცენტრშია, გარდა საკუთარი თავისა – სამიზნეა და უნდა განადგურდეს. ლუი მეთოთხმეტე ამბობდა – **„სახელმწიფო – ეს მე ვარ!“**, ჩოყლაყის დაცენტრილი აბსოლუტიზმი უფრო შორს წავიდა და მისი „დემოკრატიული დაცენტრილობა“ გაცილებით უარესი და საშიშია, რადგან მას დემოკრატია გულრწფელადაც ასე ესმის და გამოხატავს კიდეც: „ხალხი – ეს მე ვარ!“

როგორც კი იგი დამარცხდა და ცენტრალური ადგილი დაკარგა, იმ წამსვე განაყენა თავი საქართველოსგან, მერე უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ბოლოს ისიც დაკარგა. ბუნებრივია, იგი საქართველოდან დევნილი თუნდაც მხოლოდ ამიტომ არ არის, რომ იმთავითვე სამშობლოსგან თვითგანყენებულია. და ეს თვითგანყენებაც პასუხისმგებლობისგან გაქცევას იმდენად არ წარმოადგენს, რამდენადაც პარანოიკული დაცენტრილობის სინდრომს. უკრაინა მისთვის ახალი პოლიტიკური ექსპანიის მორიგი სივრცეა. უკრაინაშიც იგივე პარანოიკული ვნება ამოძრავებს – ცენტრის დასაკავებლად ბრძოლის დაუცხრომელი ჟინი. მართალია, უკრაინაშიც ზღვრული, პოსტსაბჭოური მდგომარეობაა, მაგრამ „ვარდების რევოლუციისგან“ განსხვავება ისაა, რომ პარანოიკული ავანტიურიზმს წარმატების შანსი იქ თითქმის აღარა აქვს;

მაგრამ უშანსობაც კი ჩოყლაყის, როგორც ფენომენის, „მარადიულ სტატუსს“ არ ცვლის: მისთვის არც უკრაინის მოქალაქეობის დაკარგვას აქვს რაიმე მნიშვნელობა და არც რაიმე საზღვრის უკანონოდ დარღვევას. როგორც აღვნიშნეთ – ამ ფენომენისთვის საზღვარი, როგორც თავად ცნება, აბსოლუტურად უცხოა; არც საზღვარსა და არც მოქალაქეობას დაცენტრილობაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – იგი დარწმუნებულია, რომ ცენტრია ყველგან, სადაც არის და იქაც, სადაც არც არის; ცენტრია, სადაც ჯერ არს, რომ იყოს და იქაც, სადაც არ ეგების, რომ იყოს – მორჩა და გათავდა!

ბუნებრივია, ამგვარად დაცენტრილისთვის საერთოდ უცხოა რაიმე პასუხისმგებლობის განცდა; იგი არც ღვთის, არც სამართლის, არც სამშობლოს, თუ „მეორე(?!) სამშობლოს“, არც ვინმე ძეხორციელის ან რაიმე ინსტანციის, თვით საკუთარი თავის წინაშეც კი პასუხისმგებლობის განცდისგან, ე.ი. ყოველგვარი სინდისისგან სრულიად თავისუფალია...

...ცხადია, სააკაშვილის საკითხი პოლიტიკურ აქტუალობას სრული უპერსპექტივობის გამო მალე დაკარგავს, თუმცა ორი შეკითხვა – „რა ადგილი უნდა მიუჩინოთ მას?“ და „შესაძლოა, თუ არა მისი გასამართლება?“, როგორც ჩანს, კარგა ხანს კვლავაც აქტუალური იქნება.

მართლაც: რა ადგილი უნდა მივუჩინოთ ამ პიროვნებას და უნდა გასამართლდეს თუ არა იგი? დიახ, უსათუოდ უნდა გასამართლდეს, თუკი – საერთოდაც შერაცხადია! არის თუ არა მიხეილ სააკაშვილი, როგორც პიროვნება, შერაცხადი? ამ კითხვას მხოლოდ კვალიფიციურმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი. ამ პასუხის შესაბამისად კი გადაწყდეს მისი განსჯადობის და გამომდინარე, ადგილსამყოფელის (ე.ი. ფსიქიატრიულ თუ პენიტენციურ დაწესებულებაში) საკითხიც.

ხოლო რაც შეეხება ჩოყლაყს, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ ფენომენს, ე.ი. „პოსტსაბჭოური დაცენტრილობის პარანოიკულ განყენებულებას“ – ბუნებრივია, იგი სერიოზულ კვლევებსა და შეფასებებს იმსახურებს. და ეს სულაც არ არის სახუმარო ამბავი.

დავით ზარდიაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტი ინფრასტრუქტურის სასარგებლოდ

16 ოქტომბერს პარლამენტში დასრულდა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველადი ვარიანტის განხილვის პროცესი. ბოლო დღეების განმავლობაში ყველა საპარლამენტო კომიტეტის, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის დონეზე განიხილეს, ხოლო ორშაბათს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე შემავჯამებელი განხილვა გაიმართა. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული და, შესაბამისად, დაფინანსება მნიშვნელოვნად გაეზარდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში ოპოზიციური ფლანგის მხრიდან გამოითქვა არაერთი შენიშვნა იმ ჭრილში, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს.

- **სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, იზრდება რამდენიმე სამინისტროს დაფინანსება:**
- **572 მილიონი — რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;**
- **111,2 მილიონი — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;**
- **62,6 მილიონი — განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;**
- **20 მილიონი — შს სამინისტრო;**
- **28,9 მილიონი — სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;**
- **16,8 მილიონი — კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დეპუტატებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **გიორგი კაკაურიძემ** წარუდგინა. ითქვა, რომ ბიუჯეტის დაფინანსების ძირითად წყაროს კვლავ საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს, ხოლო შემოსულობების საერთო მაჩვენებელი მომავალი წლის ბიუჯეტში 12 მილიარდ 298 მილიონ ლარს უტოლდება, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 840,8 მილიონი ლარით აღემატება. დასახელდა რამდენიმე კონკრეტული უწყება, რომლებსაც მომავალ წელს მნიშვნელოვნად გაზრდილი დაფინანსება ექნებათ:

„ყველაზე მსხვილი, მოცულობითი მატება გვაქვს, რა თქმა უნდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კუთხით. აქ მატება შეადგენს 572 მილიონ ლარს და, ჯამში, 1 მილიარდ 830 მილიონი ლარით არის განსაზღვრული რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი... დიდი ზრდა გვაქვს ჯანდაცვის სამინისტროს შემთხვევაშიც — მატება შეადგენს 111,2 მილიონ ლარს და მატება ძირითადად მოდის ჯანდაცვის პროგრამებზე... განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემთხვევაში ზრდა შეადგენს 62,6 მილიონ ლარს... 20 მილიონი ლარის დამატებაა გათვალისწინებული შს სამინისტროს შემთხვევაში — ეს უკავშირდება ძირითადად სახანძრო-სამაშველო ტექნიკის განახლებას... ზრდა გვაქვს ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემთხვევაში — 28,9 მილიონი ლარი... გარდა ამისა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გვაქვს მატება 16,8 მილიონი ლარი“.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის განმარტებით, მომავალი წლისთვის ეკონომიკური ზრდა 4,5 პროცენტით განისაზღვრა, თუმცა მთავრობის მოლოდინი უფრო დიდია, მიმდინარე წლის მზარდი მაჩვენებლების გათვალისწინებით. რაც შეეხება ინფლაციას, ამ ეტაპზე წარმოდგენილ პროექტში ინფლაცია 3,5 პროცენტის ფარგლებშია მოცემული, თუმცა, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, გადამუშავებულ ვარიანტში ინფლაცია 3 %-იან მაჩვენებელზე იქნება გათვლილი.

ოპოზიცია უკმაყოფილოა და ეს ორშაბათს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზეც გამოჩნდა. ოპოზიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფაში ადანაშაულებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომავალ წელს არ გაიზრდება არც პენსიები და არც, მაგალითად, პედაგოგთა საბაზო ანაზღაურება. მაგალითად, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა დეპუტატმა **ოთარ კახიძემ** თავისი მოსაზრებები შეკითხვის სახით ჩამოაყალიბა და მოახლოებულ არჩევნებსაც დაუკავშირა:

„პენსიები, შემწეობა, რაიმე ტიპის სოციალურ სოლიდარობას რაც ეხება, ეს საკითხები არ იზრდება... პრაქტიკულად, ფრონტის ხაზზე მყოფ საჯარო მოხელეებს ხელფასები არ ეზრდებათ... რისი იმედი გაქვთ ან რაზე არის გათვლილი, საერთოდ, ეს ბიუჯეტი? ეს ბიუჯეტი ვის ინტერესებს ემსახურება? ქვეყნის რომელ მიზანს ემსახურება და, საერთოდ, საით მივდივართ? რა პასუხი გაქვთ? ახლა არჩევნები მოდის, თან, და ესეც მნიშვნელოვანი ტესტი იქნება — მოსახლეობის მხრიდან გაგეცემათ პასუხი ამ პოლიტიკაზე“.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის, განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტი მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებშია დაგეგმილი და ერთი სეგმენტისთვის დაფინანსების მომატება ნიშნავს ამ დაფინანსების მეორე სეგმენტისთვის მოკლებას. მისი თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტი განვითარებაზეა ორიენტირებული:

ეს არის ბიუჯეტი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და სწორედ ეკონომიკის ზრდა არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მომდევნო წლებში მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ როგორც პენსია, ასევე ხელფასები — მასწავლებლის, პოლიციელის და ასე შემდეგ...

2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები სწორად არის განაწილებული, — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის ეკონომისტი **მიხეილ კუკავა**. მისი თქმით, ამ ეტაპზე პენსიებისა და ხელფასების ზრდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იქნებოდა. ექსპერტი სწორ გათვლად მიიჩნევს იმასაც, რომ დაფინანსება ყველაზე მეტად ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით გაიზრდება:

რაც შეეხება პრობლემებს, მიხეილ კუკავა ფიქრობს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კვლავაც საჯარო მოხელეთა დიდი რაოდენობა და მათი ანაზღაურების მასშტაბური მოცულობაა:

„პრობლემად რჩება ის, რომ გვაქვს ძალიან მაღალი რიცხოვნობა ცენტრალური მთავრობის აპარატში დასაქმებული პირებისა... 2018 წელს მათი რიცხვი იქნება 113 479 და მათი შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯება 1 მილიარდ 397 მილიონ 524 ათასი ლარი. ეს საკმაოდ ბევრია... ხაზს ვუსვამ, აქ საუბარია მხოლოდ ცენტრალურ მთავრობაზე“.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილ ეკონომიკური ზრდის 4,5%-იან მაჩვენებელს, მიხეილ კუკავა, სხვა ეკონომისტების მსგავსად, სავსებით რეალისტურად მიიჩნევს და არ გამორიცხავს, რომ ზრდა კიდევ უფრო მაღალიც იყოს. მისი თქმით, 4,5%-იანი ეკონომიკური ზრდის პირობებში საგადასახადო შემოსავლები 650 მილიონი ლარით გაიზრდება.

ლელა კუნჭულია

ნებაყოფლობითი დაზღვევის რესურსი ამოიწურა, მთავრობა სავალდებულო სისტემაზე მუშაობს

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კერძო დაზღვევით საქართველოში მოსახლეობის 14% სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ბაზარზე უამრავი კომპანიაა და მათ ზურგს მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებთ, საქმიანობის სფეროების გაფართოება თითქმის ვერ ხერხდება.

იმ მოქალაქეებს შორისაც კი, რომელთა შემოსავალიც თვეში 4000 ლარს აღემატება, მხოლოდ 53%-ს აქვს შეძენილი კერძო დაზღვევა, ანუ დიფერენცირების ამოქმედებამდე ამ ადამიანების ჯანმრთელობაზე თანხას სახელმწიფო ხარჯავდა. სახელმწიფო ბიუჯეტს დღემდე უწევს ათობით ათასი იმ მოქალაქის მკურნალობის დაფინანსება, რომელთა თვიური შემოსავალი 1000-დან 3000 ლარამდეა. ასეთი შემოსავალი ქვეყანაში 200 ათასზე მეტ მოქალაქეს აქვს და მათგან კერძო დაზღვევას მხოლოდ 40% ყიდულობს. ამ ადამიანებს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, შესაძლოა, საკუთარი სახსრებით მოუწიოთ.

საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევა დამსაქმებელი კომპანიებისთვის შესაძლოა, სავალდებულო გახდეს. როგორც იდეის ერთ-ერთი ავტორი **აკაკი ზოიძე** ამბობს, საკითხი მხოლოდ იდეის დონეზეა და კონკრეტული ნაბიჯები ჩამოყალიბებული და გაწერილი არ არის.

„ეს არის იდეა, რომ 1000-დან 3000 ლარამდე შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვის დაზღვევა გახდეს სავალდებულო იმისთვის, რომ ყველა მოქალაქეს ხელმისაწვდომობა ჰქონდეს ერთიან სტანდარტულ პაკეტზე. ღარიბებისთვის გადაიხდის სახელმწიფო, შედარებით საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებიისთვის იქნება ნაწილობრივ დაფინანსებული სახელმწიფოს ან დამსაქმებლის მიერ და შედარებით უფრო მაღალი ფენისთვის დაზღვევის ხარჯის ანაზღაურება მთლიანად საკუთარი ხარჯებით უნდა მოხდეს. სხვა ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს, რომ ვალდებულების ელემენტის გარეშე ამ რეფორმის განხორციელება რთულია“, — ამბობს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

დადგება თუ არა დაზღვევის სავალდებულობის საჭიროება დღის წესრიგში, ჯანდაცვის რეფორმით განხორციელებული ბოლო ცვლილებებზე დაკვირვებით გამოვლინდება.

„დავაკვირდებით საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმაში განხორციელებულ პირველ ცვლილებებს და ამის მიხედვით ერთ-ერთ ალტერნატივად ვიხილავთ სავალდებულო დაზღვევას. თუმცა ამასთან დაკავშირებით არც გადაწყვეტილებაა მიღებული გუნდში და არც საარჩევნო პროგრამაში არ გვაქვს დანონსებული, ანუ ვერ ვიტყოდი, რომ ამას ვაპირებთ, ეს არის სამუშაო ვერსია, ყველა ასპექტს შევაფასებთ, მათ შორის, რეგულირების ზემოქმედების შეფასებასაც გავაკეთებთ და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას გვინდა თუ არა“, — განუცხადა „კომერსანტს“ ზოიძემ. მისივე თქმით, ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიუხედავად, აღნიშნული ინიციატივის განხორციელება საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით და შესაბამის სექტორებთან კონსულტაციების შემდეგ მოხდება.

ბაზარზე არა მარტო ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართ არის ცვლილება აუცილებელი, არამედ სხვა სეგმენტებიც უნდა გაძლიერდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დარგის განვითარება გარკვეულ ეტაპზე გაჩერდება. „საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტის“ პრეზიდენტი გიორგი გიგოლაშვილი ამბობს, რომ განსაკუთრებით გასააქტიურებელია მუშაობა საპენსიო და ავტოდაზღვევის მიმართულებით.

„ის, ვისაც დაზღვევის სურვილი და ფული ჰქონდა, უკვე დაზღვეულია, ხოლო იმათთან, ვისაც დაზღვევის სურვილი ან ფული არა აქვს, მუშაობა რთულია. პირველ ყოვლისა, სასურველია, რომ ავტოტრანსპორტის მფლობელების პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირების მიმართ სავალდებულო გახდეს. ვგულისხმობ არა მარტო იმათ, ვინც ქვეყანაში უცხოეთიდან შემოდის, არამედ ყველას, ვინც აქ ავტოტრანსპორტით გადაადგილდება.

გარდა ამისა, საერთოდ არ არის განვითარებული სიცოცხლის დაზღვევა და საპენსიო დაზღვევა. არ ვგულისხმობ იმ შემთხვევას, როდესაც ადამიანი იღებს კრედიტს, და დაზღვევა კეთდება იმ შემთხვევისთვის, თუ კრედიტის ამღები პირი გარდაიცვალა და ვიღაცას მისი დაბრუნება მოუწევს. საუბარია გრძელვადიან კლასიკურ დაზღვევაზე, როდესაც სახსრები ათეულობით წლების განმავლობაში გროვდება, მერე კი დაზღვეულ პირს უბრუნდება. ეს მიმართულებები აუცილებლად გასააქტიურებელია“, — აცხადებს გიგოლაშვილი.

ბექა დანელია

რუსთავქალაქზე ზრუნვა მისი ცხოვრების მიზანია

„... შენ გადარდებენ ფოთლები, მაგრამ გავიწყდებიან მწვანე კვირტები!“ („რუსთავის ბაღი“)

ხუტა ბერულავა

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ადრეც, ახალი ქალაქის, ქვეყნის აღმოსავლეთის კარიბჭის გარიჟრაჟზე რუსთავს სიჭაბუკის ქალაქს ეძახდნენ. ასეც იყო, ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქი, ქალიშვილებისა და უფრო ჭაბუკების კისკისით ზეობდა. იშვიათად დალანდავდით ასაკოვანს, ჭარმაგს. უფრო იშვიათად მოხუცს, ისინი აქ თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს თუ ჩამოაკითხავდნენ, მათგან ახლად დაოჯახებულთ ხორაგს თუ ჩამოუტანდნენ, მოიკითხავდნენ.

მერე და მერე ეს ჭაბუკები მშენებლები, მეტალურგები, ქიმიკოსები, სხვადასხვა პროფესიისანი თვითონ გახდნენ მშობლები, ოჯახისა და ქალაქის მოჭირნახულე-მოამაგენი. ასე ძლიერდებოდა, ჭარმაგდებოდა, აღზევდა და არათუ ყოფილი საბჭოთა კავშირის, მის საზღვრებს გარეთაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მიეწოდა რუსთაველი პროფესიონალის ნაამაგარი, ნაოსტატარი, ნახელავი.

ის სიჭაბუკე წლებთან ერთად ჟამს გაჰყვა. თაობას თაობა მოჰყვა, ქარტეხილმა, ქვეყანას რო თავს დაატყდა, რუსთავსაც ავად გაჰკრა მსახვრალი ხელი, 47 სამრეწველო საწარმოდან, სადაც 90 ათასი ადამიანი მუშაობდა, სადღეისოდ სამიოდე თუ შემორჩა, ისიც შელახულ-განადგურებული. ჟამს გაჰყვა პირველი, მეორე, მესამე თაობის ლომგული პროფესიონალები. დღეს ახალი თაობის ქალიშვილები და ჭაბუკები შეებნენ მამა-პაპეულ უღელში, სხვანი უცხოეთს გადაიხვეწნენ. ასსამოციათასიანი ქალაქი ლამის ასიათასამდე მოიმცვარა, მაგრამ რუსთავის მეცხოვნენი გულს არ იტეხენ, ახალი ცხოვრების საჭესთან მტკიცედ დგებიან. ჩემი ნარკვევის გმირი გიორგი, შინაურულად გიგა ჯღარკავაა.

დიახ, გიგა ჯღარკავაზე მინდა კეთილი სიტყვა ვთქვა, რამეთუ ის დღევანდელი რუსთავის იმ ბურჯთაგანია, რომელიც მეიმედება ჩემი და წინა თაობების მეცხოვნენედ, მამა-პაპათა მდიდარი ტრადიციების, არათუ ტრადიციების გამგრძელებლად, არამედ ახალ-ახალ სიმართლეთა მპყრობელად.

სიდუხჭირეში გაზრდილი გიგა ადრიანად შეეჭიდა ცხოვრებას, სკოლის დამთავრების შემდეგ ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი დაამთავრა ფართო პროფილის ექიმი-ვეტერინარის სპეციალობით, ამას არ დასჯერდა და „საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (ჯიპა) მაგისტრატურაში საჯარო მმართველობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციალობაზე ჩააბარა, 2018 წელს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ძლიერი, კუნთმაგარი ბიჭი ფიზიკურ მუშაობას არ დარიდებია, დედას მხარში რომ ამოდგომოდა. ნავთობის ეროვნულ კომპანია „საქნავთობში“ დიდხანს მუშაობდა, შემდეგ მისი უნარიანობა გამოსცადეს და აქვე ლოჯისტიკის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მარაგების მთავარ სპეციალისტად, ბოლოს კი ლოჯისტიკის დეპარტმენტის ხელმძღვანელად დააწინაურეს.

ამბობენ, ყველა ქართველში პოეტის სული ზისო, აბა გიგა რას ჩამორჩებოდა თვისტომთა მგალობლურ ნიჭს, ლექსი პირველი სიყვარულიდან აემგზავრა, რომლის სიყვარულის ქალბატონი ახლა ორ ქალიშვილს უზრდის. ლექსები კი მართლაც ჩინებული აქვს, საკუთარი სტილით. მაგრამ ლექსები ლექსებად, სულის დასატკბობად, სამშვენისად. ჰოდა, როდესაც სულში ლექსი გიგალობს, მაშინ მამულის, სამშობლო, შენი ერის ტკივილ-სიხარულიც გიფესვმაგრდება, მუხასავით მაღლდები, ტოტებბორჯღალად გადაეფარები სამშობლო ქვეყანას. ასე მოხდა, ეროვნული აზროვნების ჟამს გიგაც ბრძოლის ველზე შედგა. საპროტესტო მოძრაობას ჩაუდგა ერთ-ერთ მხედართმთავრად, ამ საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

მისთვის არც ჟურნალისტობაა უცხო ხილი. საქმეს დასჭირდა და ქვემო ქართლის ტელერადიო კომპანიის ხელძღვანელად დანიშნეს. აქაც ამაღლდა მისი ერისკაცური სული, აქაც მამულისშვილურად იღვაწა, ქალაქის სატკივარს, მის პრობლემებს გაბედულად შეეჭიდა, მის მიერ მომზადებული გადაცემები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას, ამიტომ ხშირად გაიელვებს მისი სიუჟეტი ტელეეკრანებზე.

მის სულში თვით სიმღერაც გალობს, ის ხომ მომღერალ მეგობრებთან ერთად წლების წინ ჯგუფ „ცეცე“-ში მღეროდა, რომელიც მალე პოპულარული გახდა.

ისევე, როგორც მიწის წიაღში ვულკანი ბორგავს, არც ახალგაზრდა კაცის ბობოქარი სული მოისვენებს, თუ ის შემოქმედებითი ძალისხმევითაა დამუხტული. ასე ხდება გიგასთანაც, მისი ნიჭი, უნარი, სიყვარული, საქმე და შემართება შეუმჩნეველი არ დარჩა და „ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორიც გახდა.

ეს ყველაფერი დასაწყისია. საზრუნავი, საკეთებელი ძალიან ბევრი აქვს, მშობლიური ქალაქის ახალგაზრდობის ხვალინდელი დღისთვის და არა მარტო მათთვის. რუსთაველთა ტკივილი დღემდე მოუგვარებელი პრობლემებია, განსაკუთრებით უმუშევრობა – რუსთავის სკოლებს ყოველწლიურად 4 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი ამთავრებს, ხოლო უმაღლეს სასწავლებელს ათასამდე ახალგაზრდა და ერთ სამუშაო ადგილს სანთლით ვერ მოიძევ... არადა რუსთავში 47 სამრეწველო საწარმო, სადაც 90 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, ქვეყნის ეკონომიკის ბურჯი გახლდათ. აქ დუღდა სიცოცხლე, ყვაოდა კულტურა, სპორტი....

რუსთავი მრავალმხრივად მოქმედი ქალაქია. ის უკვე საკუთარ ტრადიციებზე დგას, ქმნის თავის მომავალს. ჰოდა, მისი მომავლის მრავალმეცხოვნეთა, ჯარისკაცთა შორის ერთ-ერთს გიორგი ჯღარკავას ქალაქზე ზრუნვა საკუთარი სიცოცხლის უმთავრეს მიზნად და ამოცანად დაუსახავს.

ოდესღაც მეფეები ბავშობიდან წვრთნიდნენ თავიანთ მემკვიდრეებს. ასე იყო კომუნისტების დროსაც, ახალგაზრდებს ასწავლიდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობას. იქიდან კარგ ორგანიზატორს, მომავლისუნარიანს გამოარჩევდნენ და ასე იქმნებოდა ხელმძღვანელი ბირთვი. დღეს სხვა სურათია, არადა, მართვას სხვა უნარი და ნიჭი სჭირდება. ნაბიჯ-ნაბიჯ განვლილი ცხოვრებისეული გზა და გამოცდილება არის კადრების სამჭედლო.

მე მეიმედება გიგა ჯღარკავა, რომელიც აუჩქარებლად, გონივრულად უდგება საქმეს. მას მომავალიც ღირსეული ექნება. რუსთაველებიც ხედავენ და ამიტომ აფასებენ მის ნიჭსა და უნარს.

გივი ჯახუა,

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირისა და მსოფლიო ასოციაციის წევრი. რუსთავის საპატიო მოქალაქე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.

რატომ გაუქმდა „თბილისიმარათონი 2017“?..

პირველ **რიგში, გვსურს, განვმარტოთ, რომ „თბილისიმარათონი-2017“-ის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ღონისძიების საორგანიზაციო ჯგუფმა და არა დედაქალაქის მთავრობამ,** – ამის შესახებ განცხადებას დედაქალაქის მერია ავრცელებს.

„თბილისიმარათონი“ წლებია, მერიის მხარდაჭერითა და პატრონაჟით იმართება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ღონისძიება, ერთი მხრივ, ქველმოქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რასაც ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. მეტიც, ღონისძიების პოპულარიზაციის მიზნით მარათონის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიიდან ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გადმოტანა თბილისის მერის დავით ნარმანიას ინიციატივა იყო.

გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად ორბელიანის მოედანსა და მის მიმდებარე არეალში დაწყებულია რეაბილიტაცია და აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობა შეზღუდულია, ღონისძიების ჩატარებისას რუსთაველის გამზირის, აღმაშენებლისა და სხვა ცენტრალური ქუჩების გადაკეტვამ შესაძლოა, გამოიწვიოს სატრანსპორტო კოლაფსი და მოქალაქეების უკმაყოფილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის მერიამ გაითვალისწინა როგორც მოქალაქეების, ასევე, ღონისძიების მონაწილეებისა და ორგანიზატორების მოთხოვნები და შესთავაზა საორგანიზაციო ჯგუფს „თბილისიმარათონი 2017“-ის დილის 7:00 საათზე გამართვა, ნაცვლად 9:00 საათისა. დედაქალაქის მერიამ განიხილა ალტერნატიული ვარიანტიც – ღონისძიების ისევ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ჩატარება.

ზემოაღნიშნული შეთავაზებების მიუხედავად, ღონისძიების ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს ის არგუმენტები, რომლებიც ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის პარალიზებისა და მოქალაქეებისთვის დისკომფორტის შექმნის თავიდან აცილებას და უარი განაცხადეს „თბილისიმარათონის“ შეთავაზებული ფორმებით ჩატარებაზე. გარდა ამისა, გვსურს, განვმარტოთ, რომ თბილისის მერიაში შეტანილ განცხადებებზე საორგანიზაციო ჯგუფს საბოლოოდ დადასტურებული პასუხი მიღებული არ ჰქონდათ.

სამწუხაროა, რომ ღონისძიების გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით დაზარალდნენ როგორც მარათონში მონაწილეობის მსურველი მოქალაქეები, ისე ტურისტები, რომლებიც ამ ღონისძიების ფარგლებში გეგმავდნენ თბილისში სტუმრობას“, – აცხადებენ მერიაში.

საჰაერო სივრცეში პირველად თავისუფალი მარშრუტები დაინერგა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს „საქაერონავიგაციამ“ რეგიონში პირველმა საქართველოს საჰაერო სივრცეში თავისუფალი



მარშრუტები დანერგა. თავისუფალი მარშრუტების კონცეფცია გულისხმობს ფრენებს შემოსვლის წერტილიდან პირდაპირი ტრაექტორიით გასვლის წერტილზე, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს სააერნაოსნო კრებულში (AIP).

თავისუფალი მარშრუტების დანერგვა საქართველოსა და მთლიანად ევროპის რეგიონში:

გაზრდის საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობას და შეამცირებს შეფერხებული ფრენების რაოდენობას;

დაზოგავს სანავიგაციო მომსახურების საზღაურებს საჰაერო სივრცის მომხმარებელთათვის;

საშუალებას მისცემს ავიაკომპანიებს, შეარჩიონ უმოკლესი მარშრუტი და დაზოგონ საწვავი;

10%-ით შეამცირებს საჰაერო მიმოსვლის შედეგად გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას გარემოზე;

აამაღლებს ფრენების უსაფრთხოების დონეს, მომავალი გამოწვევების შესაბამისად.

გაიხსნება ბეტონის ფილების საწარმო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული მიმართულების ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარების რიცხვს კიდევ ერთი საწარმო, შპს „ნეოსტარი“ შეემატება, რომელიც ბეტონის ფილების წარმოებას გეგმავს. **პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 11 960 000 ლარს შეადგენს.**

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში კომპანიამ გერმანული, უახლესი ტექნოლოგიის დანადგარები შეიძინა, რაც მას საშუალებას მისცემს, რომ მომხმარებელს ენერგოეფექტური ტექნოლოგიით დამზადებული, მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია მიაწოდოს.

შპს „ნეოსტარი“, რომელიც 2018 წლის იანვრის თვეში გაიხსნება, წლიურად 500 ათასი კვ/მ პროდუქციის წარმოებას შეძლებს. საწარმო ამოქმედების პირველ ეტაპზე 30 ადამიანს დაასაქმებს. აღნიშნული საწარმო თბილისში ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება.

შართა ამთა, ბატონო პროფესორო

მოციქულთა შორის თომას უთქვამს: **„ჯოჯოხეთი იქ იწყება, სადაც სიყვარული თავდება“.**

მართლაცდა, 24 წლის წინათ აფხაზეთში დატრიალებულმა ძმათამკვლელმა ტრაგედიამ მრავალ მშობელს, მრავალ შვილს, მრავალ ძმას, ჯოჯოხეთად უქცია ეს წუთისოფელი. დღესაც არ არსებობს იმისი სტატისტიკა, რამდენი როგორც აფხაზი, ასევე ქართველი დედა შეიმოსა გლოვისფერი სამოსით.

გავიდა ათეული წლები იმ სინამდვილეშეწამებული ტრაგედიიდან და გული გვტკივა იმაზე, უერთმანეთოდ ერთმანეთი როგორ გაგვიცვეთია. ალბათ კი არა, ნამდვილად ორივე მხარეს გვაკლდა რაღაცა, რაც ვერ გავთვალეთ და ვერ გავიცნობიერეთ. მე კი მგონია, სიყვარული გვაკლდა, ურთიერთდათმენა გვაკლდა, პურის ნაცვლად ურთიერთსიყვარული გვშიოდა და ღვინის ნაცვლად ურთიერთგაგება და სითბო გვწყუროდა. მართალია, ჩვენი წინაპრები გვასწავლიდნენ – დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ, მგონია, არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ექიმი ან რაიმე შელოცვა იმისათვის, რომ შვილმკვდარი დედის სული განკურნოს. მე კი ვფიქრობ, სულის განკურნება მთლიანად არა, მაგრამ დაამება მაინც შეიძლება მხოლოდ ღვთის მადლით კურთხეული ადამიანების მიერ გაღებული სითბოთი და სიყვარულით.

ჩემო ძვირფასო აფხაზებო, ჩვენი განაპირების 24 წლის შემდეგ, როგორც აფხაზებმა, ისე ქართველებმა ნათლად დავინახეთ ამ მზისქვეშეთში ჭეშმარიტად განსჯის ადგილი როგორ დაეჭირა უკანონობას, ხოლო მართლის ადგილი მტყუანს ეპყრა ხელთ.

აქედან გამომდინარე, ყველამ ერთად კარგად ვიხილეთ ისიც, მართალი როგორ იღუპებოდა თავის სიმართლეში, და ბოროტეული როგორ დღეგრძელობდა თავის ბოროტებაში. იმასაც ნათლად ვამჩნევთ, თუ ვის არ აწყობს ჩვენი შერიგება.

მოვა დრო და ჩვენც გავალთ ამ წუთისოფლიდან. დღეს კი იმაზე უნდა ვიფიქროთ, სიძულვილი, ბოღმა და ბალღამი არ დავუტოვოთ ჩვენს შვილებს, რათა ჩვენ შემდგომ თოფები არ დაუმიზნონ ერთმანეთს. მოძმეთა მაზავებელი კი გონი უნდა იყოს ყოველთვის და არა იარაღი, რამეთუ ერთხელ გასროლილი ტყვიები ლულებს არასდროს უბრუნდებიან ...

ბატონი ოთარ მარშავა მხოლოდ სიყვარულმა დააბრუნა თქვენთან და არა სიძულვილმა. გჯეროდეთ, რომ ოთარისნაირი სიკეთის მთესველი ბევრია ენგურს გამოღმა საქართველოში.

ამდენად, შეცდომების აღიარება და ურთიერთმიტევება სრულიად არ გახლავთ საძრახისი ქმედება, რამეთუ უცოდველი ადამიანები არ არსებობენ არც გაღმა და არც გამოღმა.

ოთარ მარშავა, რომელიც ომის დამთავრებიდან ორ კვირაში დაბრუნდა გალის რაიონში და რაც არ უნდა დაუჯერებლად ეჩვენებოდეს მავანს, შეძლო თითქმის შეუძლებელი.

ძვირფასო მკითხველო, ნუ მიწყენთ და ჩემზე და თქვენზე უკეთესად იცის აფხაზეთის მოსახლეობამ, რომ ბატონი ოთარ მარშავა მართლაცდა გახლავთ ზეციური სათნოებითა და მადლით სხივდაფენილი პიროვნება.

„მადლის“ ცნება კი გამოხატავს განსაკუთრებულ შესაძლებლობას, რაც განსაზღვრულია მისტიკური აქტით, ანდა ღვთიური გზით ჩაეღვრება ადამიანს სულში და განაწყობს მას სიკეთის ქმნისათვის. პიროვნება ვინც მადლს ფლობს, იძენს ახალ თვისებებს – განსხვავებით ჩვეულებრივი ადამიანისაგან. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და არა ყოველთა.

რამდენიმე დღის წინათ შევხვდი ბატონ ოთარს და ვკითხე, როგორ ხარ, ძმაო, რას აკეთებ, რა გეგმები გაქვს სამომავლოდ-მეთქი. ისიც დავამატე, მესმის აფხაზეთში რომ ყველას უყვარხარ, გაფასებენ და გენდობიან, მაგრამ ენგურს გამოღმა, დანარჩენ საქართველოს რომ გავაცნოთ შენი თავი, რას იტყვიმეთქი. როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. რა საჭიროა ჩემი რეკლამა, ვინც მიცნობს, ყველა ხედავს რას ვაკეთებო. ეტყობა, სადღაც ეჩქარებოდა, დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მანქანაში რომ ჩაჯდა მომაძახა: **„ხომ იცი, ძმაო, ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელია“. მაშინვე გამახსენდა მე-16 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ მონტენი, რომელიც ბრძანებდა: „ჭეშმარიტი ღირსება მდინარეს ემსგავსება, რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურობს“.**

ბატონი ოთარი როგორც კი დაბრუნდა გალში, იქ დარჩენილი ხანდაზმული გამოცდილი ექიმები შემოიკრიბა და შეუდგნენ დანგრეული საავადმყოფოს გაწმენდა-აღდგენას, რა თქმა უნდა, საკუთარი სახსრებით. პარალელურად მან შეძლო აღედგინა საშუალო სკოლის შენობა, რათა გაგრძელებულიყო სწავლა. ამრიგად, 1995 წლიდან 2014 წლამდე მან გააკეთა თითქმის ღია ცის ქვეშ საველე პირობებში 900-ზე მეტი ოპერაცია და ათიათასობით პაციენტს გაუწია უფასო კონსულტაცია, რის გამოც მაშინდელმა აფხაზეთის ხელმძღვანელობამ არაერთხელ წერილობით გამოუცხადა მადლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შექმნა იმის პრეცედენტი, რომ გალში დაიწყო მოსახლეობის დაბრუნება, ხოლო აღდგენილი რაიონული საავადმყოფო უკვე ემსახურებოდა 60 ათასამდე მოსახლეს.

დე ფაქტო აფხაზეთის მთავრობის წევრებმა არაერთხელ მიმართეს ბატონ მარშავას თხოვნით, რომ მეტი კავშირი დაემყარებინა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის საავადმყოფოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ბოლო 10 წლის განმავლობაში ბატონ ოთარ მარშავას მეშვეობით აფხაზეთიდან გადმოვიდა 12 000-მდე აფხაზი მოქალაქე როგორც სამკურნალოდ, ასევე სხვადასხვა სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად, რომელთაც გაეწიათ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებით სათანადო დახმარება. ყოველი განკურნებული აფხაზი ეროვნების მადლიერი პაციენტი დიდი სითბოთი მიმართავდა: **შართა ამთა, ბატონო პროფესორო,** რაც ნიშნავს **დიდხანს იცოცხლე, ბატონო პროფესორო!**

ბატონმა ოთარ მარშავამ ქ. სარატოვში დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. სსსკ-ის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრის 1987 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 5 წლის შემდეგ, მან წარადგინა სადოქტორო ნაშრომი და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1992 წლის 17 იანვარს მიანიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2000 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა პროფესორის წოდება, სპეციალობით ქირურგია, იგი დღემდე ეწევა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სისტემატურად იგზავნება მსოფლიოს 22 ქვეყნის სამედიცინო ეროვნულ ბიბლიოთეკებში და ქვეყნდება შესაბამის სამედიცინო ჟურნალებში.

ბატონი ოთარ მარშავა გახლავთ პიონერი საქართველოში შაქრიანი დიაბეტისა და ღვიძლის ციროზის ქირურგიული გზით მკურნალობისა.

ჩინელ ბრძენთაგან ლაო ძი ბრძანებდა: **„ღმერთი მხოლოდ იმას სწყალობს, ვინც სიკეთეს თესავს და რაც უმეტესს გასცემს, ის მით მეტს მოიმკის კვლავ გასაცემად“.**

ჩემო უმცროსო მეგობარო, ვიცი, ამაზე გამიბრაზდები, მაგრამ შენი სკალპელმომარჯვებული მარჯვენა დამილოცოს ღმერთმა.

მუდამ გფარავდეს ამ ლამაზი სიცოცხლის გამჩენი, რომლის მეოხად მოგავლინა ამ სამზეოზე უფალმა.

შართა ამთა, ბატონო ოთარ.

ჰამლეტ სვანიძე,
ქ. ზუგდიდი

◎ სტიქია

წყალმა ხარაგაულის ცენტრს სოფლები მოსწყვიტა



სტიქიის გამო განსაკუთრებით რთული ვითარებაა ხარაგაულის რაიონში. სტიქიის შედეგად დაზიანებულ გზაზე გადაადგილება გართულებულია. აღდგენითი სამუშაოები კი, უამინდობის გამო ვერ იწყება.

მდინარე ჩხერიმელას ადიდების შედეგად, წყალმა სოფლის გზის დიდი ნაწილი წაიღო, რომელიც ცენტრალურ გზას და ხარაგაულს აკავშირებს.

ქედაში მეწყრულმა პროცესებმა მოსახლეობას პრობლემები შეუქმნა

ქედაში მეწყრული პროცესების გამო დატბორილია საკარმიდამო ნაკვეთები, 10 თემის მიმართულებით შეფერხებულია საავტომობილო მიმოსვლა, სამი თემის მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება. ამასთანავე, საჭირო გახდა 15 ოჯახის გახიზვნა.

მდინარის ადიდების გამო, დატბორილია ქედის ცენტრალური პარკი. დამეწყრილ ტერიტორიებს უკვე სწავლობენ გეოლოგები. მათი დასკვნის შესაბამისად გადაწყდება, მოუწევთ თუ არა ალტერნატიული საცხოვრებლების გამოძებნა გახიზნულ ოჯახებს.

ძლიერმა ქარმა ბათუმში უნივერსიტეტის შენობა დააზიანა

ბათუმში ძლიერმა ქარმა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა დააზიანა. მოგლეჯილია სახურავის ნაწილი, რომელიც ქუჩაში გადავარდა. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანდა ერთი ავტომანქანა.

რუსთავში სარეკლამო ბანერი ავტომობილს დაეცა

ძლიერი ქარის შედეგად რუსთავში რკინის კონსტრუქცია ჩამოვარდა, რომელზეც სარეკლამო ბანერი იყო განთავსებული. შემთხვევა შარტავას გამზირზე მოხდა.

ბანერი იქვე მდგარ „ნისანის“ მარკის ავტომობილს დაეცა და დააზიანა.

დაზიანებულია ასევე შენობის ფასადი და ფანჯრები. ტერიტორია ამკრძალავი ლენტით არის შემოფარგლული.

„მხატვრობა ძველ გობელენზე“

ვიქტორ გაბესკირიას პოეტური კრებულის უჩვეულო დასურათება

წლების წინათ მურმან ჯგუბურიამ თავისი რეიტინგლისტი რომ გამოაქვეყნა და XX საუკუნის პოეტთა ხუთეულში **ვიქტორ გაბესკირიაც** დაასახელა, ლიტერატურული საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა ასეთ იერარქიას, თავისებურ ეპატაჟადაც შერაცხეს ამგვარი შეფასება, თუმცა ბატონმა მურმანმა, როგორც განსწავლულმა და გემოვნებიანმა მკითხველმა, ვიქტორ გაბესკირია სხვა პოეტთაგან უწინარესად თვითმყოფადი სამყაროთი და მსოფლგანცდით გამოარჩია. გახსენებით კი ეს ამბავი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე **როსტომ ჩხეიძემ** გაიხსენა, წარდგინებაზე ამ პოეტის ახალი კრებულისა **„ლექსების ალბომი“**, და თავის მხრივ დასძინა, რომ ვიქტორ გაბესკირია ის პოეტია, რომელიც შესაძლოა, მთლად მიჩქმალულიც არ არის, მაგრამ არც სათანადოდაა დაფასებული, არადა, დროულად კი უნდა განისაზღვროს მისი როლი ჩვენს ლიტერატურულ მდინარებაში.

ამ თვალსაზრისით ბატონმა როსტომმა პირველ რიგში გამომცემლობა **„ინტელექტს“** დაუფასა ძალისხმევა – სათანადო ადგილი მიეჩინა ვიქტორ გაბესკირიას პოეზიისათვის მე-20 საუკუნის სამწერლო პროცესებში. კერძოდ, ჯერ **„ასი ლექსის“** სერიით გამოცემა ვიქტორ გაბესკირიას ლირიკული კრებულისა, შემდეგ კი ამ ორიგინალური წიგნის მომზადებაც სახელწოდებით **„ლექსების ალბომი“**, რომლის ავტორად, პოეტთან ერთად მისი ქალიშვილი **ციცი გაბესკირიაც** უნდა ვიგულისხმოთ.

ბიძგი ორიგინალურად ჩაფიქრებული და ხორცშესხმული წიგნის გამოსაცემად აღმოჩენილა აკაკი ბაქრაძის სიტყვები: ვიქტორ გაბესკირია სურათით აზროვნებდა, მისი თითქმის ყველა ლექსის ილუსტრაციის დახატვა შეიძლებაო, რომ წერდა და იმედოვნებდა კიდეც, რომ ვინმე აუცილებლად მოჰკიდებდა ხელს ასეთ საშურ საქმეს.

ვიქტორ გაბესკირიას „აკვარელის“ ფერებსა და მხატვრულ ჭვრეტაზე სხვებთან ერთად სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი და აკაკი გაწერელიაც საუბრობდნენ და მის შემოქმედებაში უფაქიზეს ფერწერულ ნიუანსებს გამოარჩევდნენ, „როგორც მხატვრობას ძველ გობელენზე“; თითქოს თვით იმპრესიონისტთა შთაგონების წყაროდ ქცეულიყოს მისი ლექსები, ან სულაც თვითონ ექციოს ბგერები ფერებად და მონასმებად...

და ქალბატონ ციცისაც ამ კრებულში გაერთიანებული ყველა პოეტური ნიმუშისათვის გამოუძებნია შესაბამისი ნახატი. სწორედ ამის გამო ბატონმა როსტომმა შეხვედრაზე (რომელიც **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების,** იმავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართა) კრებულის შემდგენლის განსაკუთრებული ძალისხმევაც საგანგებოდ აღნიშნა:

– მართალია პატარა წიგნია, მაგრამ ძალზე დიდი შრომაა ჩადებული, შრომა ოქროსმაძიებლისა, რათა შესაბამისი ნახატები ეპოვნა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ხელოვნებაში; რამდენიმე ფოტოსურათი და ნახატი კი სულაც საგანგებოდ შეიქმნა წიგნისათვის. ასე მომზადდა ეს ციკლი, როგორც ნიმუში მხატვრობისა და პოეზიის ჰარმონიულად გაერთიანებისა.

ეს ჰარმონია შეუმჩნეველი არ დარჩენია **მაია ჯალიაშვილსაც,** ვისი თქმითაც, ვიქტორ გაბესკირიას პოეტური აზროვნების ფერწერულობას ვიზუალური ხატების სიმძაფრე განაპირობებს. ღვთის მიერ შექმნილ სამყაროსეულ მრავალფეროვნებას ის ზუსტ, ნათელ და მეტყველ ტროპულ შესატყვისებს უძებნის. მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, ფილოსოფიური აღქმა ყოფისა, დროისა თუ სივრცისა მის ლექსებში მოულოდნელ პოეტურ სახეებად გარდაიქმნება და მკითხველზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს:

– სიტყვა მწერლისთვის ფუნჯიაო, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია. ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ვიქტორ გაბესკირიას პოეტურ ხელწერასაც, ამიტომაც მოუხდა მის პოეტურ კრებულს თანდართული ნახატები, რომლებიც ხან ზუსტად მიესადაგებიან ლექსის განწყობილებასა თუ წარმოსახვას, ხან კი სტრიქონთა ვრცელსა და უფრო მასშტაბურ ხატებში იჩრდილებიან, რადგან ვერ იტევენ და ასახავენ იმ ფიქრებს, რომლებიც ნაკადებად შემოიჭრებიან მკითხველის ცნობიერებაში და არაერთ, არამედ მრავალ ნახატს ქმნიან თუ წამოშლიან.

– სანეტაროა, როცა შვილმა იცის, რას ემსახურებოდა, რას ქმნიდა, რაზე გაჩერდა მამა. ვიქტორ გაბესკირიასა და მისი ასულის, ქალბატონი ციცის ამ სულიერ ერთობას გვაგრძნობინებს „ლექსების ალბომი“. საოცრად დიდი, საინტერესო

სამუშაო გაუწევია ქალბატონ ციცის და შედეგიც მივიღეთ - ყოველი ნახატი ლექსის სულს ხსნის, თვითონ ეს ფორმა კი მეტად მარჯვე მიგნებაა და, ამდენად, სანიმუშო და მისაბაძი გამოცემაც გახლავთ, – ეს უკვე **ნინო ვახანიამ** აღნიშნა, შემდეგ ვიქტორ გაბესკირიას ცალკეული ლექსებიც მიმოიხილა, როგორც ნიმუში მაღალი პოეზიისა, ადამიანის სულისა და გონების უფაქიზეს სიმებს რომ არხევს, და მისი სიტყვებიც გაიხსენა:

„ПОЕТУРИ ГАНЦДЕБИС ГАРЕШЕ ШЕქМНИЛი ლЕქსი ისეთ გუხარს ჰგავს, რომელშიც ცეცხლი არ ანთია, ამგვარი გუხრის გარშემო კი, რაგინდ ქვირფასი მასალისგანაც უნდა იყოს აგებული, ადამიანები არ სხდებიან“.

...და ჩვენც თამამად შეგვიძლია ვიქტორ გაბესკირიას ლექსიც შევადაროთ ბუხარს, რომელშიც ცეცხლი მიმზიდველად ანთია.

პოეტს ყოველთვის აქვს კონკრეტული სათქმელი, მოსაყოლი რაიმე კონკრეტული ამბავი და გადმოსაცემი საკუთარი ემოცია, გრძნობა, დამოკიდებულება. დიახ, საკუთარი, რადგან ეს ლექსები არ გახლავთ სხვისი აზრისა თუ განცდის გადამღერება. ავტორს გულში აქვს გამოტარებული ყოველი სახე და ამიტომაც გვესმის თითოეული ლექსიდან პოეტის გულის კვნესა. ისინი მრავალ საფიქრალს აღუძრავს მკითხველს, რადგან მრავალი სათქმელის გადმოსაცემად შექმნილან. ამ კრებულს შევყავართ ახალ სამყაროში, ძლიერ, მეტად შთამბეჭდავ

ჭეშმარიტი პოეზიაც სწორედ ეს არის, რასაც სათანადო შეფასება და დაფასება სჭირდება... და შემთხვევითი არ იყო, ამ საკითხს საგანგებოდ რომ გამოეხმაურა **სალომე კაპანაძე,** კერძოდ, ბატონი როსტომის ის ფრაზა გაიხსენა, დასაკარგი პოეტები არ გვყავსო, – პირადი საუბრისას რომ უთქვამს:

– არ არის ადვილი, ებრძოლო დროის სისასტიკეს და ხელიდან გამოგლიჯო ჩვენი კულტურისათვის საჭირო მოვლენები და ადამიანები. შემოინახო მათი სახელები და მნიშვნელობა შეუნარჩუნო. ეს თავდაუზოგავი შრომაა, რომელსაც როსტომ ჩხეიძე დაუმადლებლად უძღვნის ხოლმე თავის ქვეყანას.

ვიქტორ გაბესკირია კი, ქალბატონი სალომეს თქმით, მოვლენაა ქართულ კულტურაში, რადგან არა მხოლოდ პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსიც გახლდათ.

– ლექსების ეს ალბომი, ასე ორიგინალურად „შეფუთული“ მისი ქალიშვილის ციცი გაბისკირიას მიერ, მარადისობის წრეზე გადის, ასეთი სტრუქტურით მოწოდებული პოეზია კი საოცარ ხიბლს სძენს მის შემოქმედებას და უფრო აძლიერებს ემოციურ აღქმას. განსაკუთრებით ახალი თაობისათვის, რომელსაც მოსწონს ნოვაცია, რადგან სწრაფად ცვალებადი რეალობისა და ტრადიციული ცხოვრების წესის არაადეკვატური აღქმის გამო ისინი ხშირად „კარგად დავიწყებული ძველის“ ორიგინალურად მოწოდებას ითხოვენ ხოლმე. ვიქტორ გაბესკირია, როგორც დრამატურგი კი ცალკე საუბრის თემაა. უცნაურია, მაგრამ ამ სფეროში ეროვნული შედევრების სიუხვით მაინცდამაინც არ გამოვირჩევით და რაც არის, რატომღაც ქართველი რეჟისორების ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე. მოდური ტენდენცია – უცხოელი დრამატურგებით ზომაზე მეტად გატაცება – მოტივაციას ართმევს ძალიან ბევრ ნიჭიერ ქართველ შემოქმედს.

ამ ნიჭიერების ერთ-ერთ დასტურად შეხვედრაზე ვიქტორ გაბესკირიას არაერთი ლექსი გაიხსენეს სიტყვით გამომსვლელებმა, მათ შორის, ქალბატონი ციცის ძმამ, აღმოსავლეთმცოდნე **შალვა გაბესკირიამაც,** ვინც შეხვედრაზე მამის განუყრელი მეგობრისადმი პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი სონეტი შეახსენა შეკრებილებს, „ხე ნანგრევებში“, ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაც რომ უღიარებიათ ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებაში მისი პოეზიის მთარგმნელებს, შემდეგ კი ამ ორი მეგობრის როლზეც ისაუბრა 9 მარტის მოვლენებში... და კიდეც შეიპირა როსტომ ჩხეიძემ, რომ იგი უფრო ვრცლად დაწერს ამ ამბებზე და თაობებს შემოუნახავს საგულისხმო ცნობებს იმ ორი პიროვნების შესახებ, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს XX საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურულ თუ სამეცნიერო ცხოვრებას.

თავისი კვალი კი ციცი გაბესკირიასაც დაუჩნევია ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისა და ცნობიერებისათვის. ამის შესახებ შეხვედრაზე **კახმეგ კუდავამ** ისაუბრა, როცა ქალბატონი ციცის როლი ეროვნულ მოძრაობაშიც გამოარჩია და აღნიშნა, რომ იმ მძიმე და ქარცეცხლიან წლებში მისი პუბლიცისტური სტატიები, მისი მართალი და ძარღვიანი სიტყვა საზოგადოებას სწორი გზისაკენ მოუწოდებდა და ხშირად გადამწყვეტიც კი იყო იმდროინდელ პროცესებში.

თავის დროზე არანაკლებ გადამწყვეტი აღმოჩნდა სიტყვა და მისი ძალა ვიქტორ გაბესკირიასათვის. ამ საკითხს **მარინა ტურავა** გამოეხმაურა, ვინც ამ პოეტის ლექსები ჩიტების გუნდს შეადარა და მათი მიმოხილვის შემდეგ აღნიშნა, რომ ვიქტორ გაბესკირიას დახვეწილი გემოვნება, სულიერი სიფაქიზე, ობერტონებით გადმოცემული სათქმელი, სამყაროს მჭევრმეტყველობითი უნარი, ტკბობა ყველაფრით, რაც უფალმა ასე ბლომად გვიბოძა, მის პოეზიას განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს.

– მე მგონია, რომ მხატვრული სიტყვით პოეტი თავის დაუნდობელ და მკაცრ დროს დაუპირისპირდა. პოეზია მისთვის თავშესაფარი, გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, ჩამყუდროების უალტერნატივო გზა.

მარტინ ჰაიდეგერი საუბრობდა ენაზე, „როგორც ყოფიერების სახლზე“. ეს ფრაზა გაბესკირიასთან სრულიად განსხვავებულ შინაარსს იძენს – ენა მისთვის სამყაროს ჰარმონიის, სრულყოფილების ასახვის საშუალებაა. ადამიანი, ამ სრულყოფილების ნაწილი და არსი, ვერ იქნება მარტოსული და უბედური, რადგან პოეტს ეს ყველაფერი თავის სამშობლოში „უხვად ეგულვის“.

და კიდეც დასძენს **ნანა კუცია** თავის საგულისხმო გამოსვლაში, რომ ეს ძალიან ნატიფი პოეზიაა, ასე წერდნენ მეოცე სუკუნის გარიჟრაჟზე უილიამ ბატლერ იეიტსი და რაინერ მარია რილკე – ყოფითში, რუტინულში ტრანსცენდენტურს აბრწყინებდნენ:

– ვიქტორ გაბესკირიას იმპრესიონისტული ჩანახატები სწორედაც სულისთვის შვებისმომგვრელ, რაფინირებულ ტექსტებად აღიქმება, მით უფრო, ეპოქის გათვალისწინებით, როცა სრულიად სხვა ტიპის ლირიკა „ზეობდა“ – ბელადის, პარტიის, გალაკტიონისეული დეფინიციით, „ჯოჯოხეთური სამოთხის“ დითირამბები. მარშის გუგუნში გამოღწეული ეს უნაზესი მელოდია ბედნიერი დასტურია, რომ ადამიანი ხატება და მსგავსებაა უფლისა და არ არსებობს პოლიტიკური (თუ ნებისმიერი სხვა) „იზმი“, ამ მსგავსების წინსვლა ხელწიფებოდეს. ბოლშევიზმის მითოსმა ვერ წანისლა მაღალი მოდერნიზმის მითოსი – ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვისაგან ლიბოდადებული XIX საუკუნის მიწურულსა და XIX-ის დასაწყისში (ოთარ ჩხეიძე აღნიშნავს „მატიანე ქართლისას“ ციკლის გამხსნელ წიგნში „რომანი და ისტორია“, რომ საქართველოში სწორედ ვაჟამ და ბარნოვმა გასწიეს იგივე ღვაწლი, რაც ევროპაში იეიტსმა და ჯოისმა, ელიტური მოდერნიზმის მესაძირკვლეებმა).

ქართული მოდერნიზმის სურათი კი წარმოუდგენელია ვიქტორ გაბესკირიას პოეზიის გაუთვალისწინებლად.

მკითხველისთვის განდობილი ეს პოეზია ყოველთვის ფასეული და ღირებული იყო...

ვახტანგ კეთილაძე,
„მედია-ნიუსი“

ატამბაევის „მემკვიდრის“ გამარჯვება

შუა აზიის რესპუბლიკა ყირგიზეთში შემდგარი საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი მონაცემებით, პირველ ტურში, დაახლოებით ხმების 55 პროცენტით, იმარჯვებს ამჟამინდელი პრეზიდენტის ალმაზბეკ ატამბაევის „მემკვიდრედ“ აღიარებული, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი სოორონბაი ჟეენბეკოვი.

არჩევნების ასეთი შედეგი ადმინისტრაციული რესურსის უკიდურესი მობილიზებითა და აშკარა მანიპულაციებით არის მიღწეული. ამომრჩევლებზე და საკუთრივ ოპოზიციურ კანდიდატებზე ზეწოლამ უკიდურესი ფორმები მიიღო ფიზიკური განადგურების მუქარების ჩათვლით.

პრეზიდენტობიდან მიმავალმა ატამბაევმა მეზობელ სახელმწიფოებს ბრალი დასდო, რომ ისინი ყირგიზეთის საშინაო საქმეებში ერევიან, როდესაც მათი ლიდერები შეხვდნენ ყირგიზეთის პრეზიდენტობის ოპოზიციურ კანდიდატებს. მაგრამ ატამბაევს არ გახსენებია, რომ მეზობელი ქვეყნების ლიდერებმა ასევე მოუწყვეს მიღება მის კანდიდატს სოორონბაი ჟეენბეკოვს. ატამბაევი კონფრონტაციის გზას დაადგა მეზობლებთან, როდესაც ოპოზიციის ლიდერი ომურბეკ ბაბანოვი იქნა მიღებული.

ყირგიზეთის საგარეო პოლიტიკა ა. ატამბაევის მმართველობის პერიოდში საკუთარ წარუმატებლობებში მეზობლების დადანაშაულებით ხასიათდება. სხვაზე გადაბრალების ტაქტიკა პოლიტიკის ნაცადი ხერხია, თორემ სხვა შემთხვევაში პრეზიდენტის მძაფრ განცხადებებს ფსიქიკური გაუწონასწორებლობის ახსნა თუ მოეძებნება.

ატამბაევის მისამართით სამეზობლოდან გაისმის ბრალდებები, რომ იგი თავისი „მეგობრობის“ სანაცვლოდ ფულს ითხოვს. ასე იყო ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში ყირგიზეთის გაწევრების მომენტში, როდესაც ატამბაევმა ამ კავშირისაგან 500 მილიონი აშშ დოლარი მიიღო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. თუმცა ამ თანხის დაახლოებით ნახევარი პრეზიდენტის კლანის წევრების ჯიბეებში გადანაწილდა. ქრთამის სანაცვლოდ ყირგიზმა პოლიტიკოსებმა მკვეთრად შეცვალეს ჩინეთთან პოლიტიკა და პეკინს უვადო სარგებლობაში გადასცეს ყირგიზეთის ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი, სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის საბაბით, ისევე, როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება. ყირგიზი ხალხი ყოველივე ამის სანაცვლოდ არაფერს ღებულობს, მისი ცხოვრების დონე უკეთესობისკენ არ იცვლება.

ინტერნეტ-ფორუმებზე ყირგიზები ატამბაევის მმართველობას მეტწილად მკვეთრად აკრიტიკებენ. ერთ-ერთი ტიპური მაგალითი: „ატამბაევს თავისი დაპირებები და ფიცი დაავიწყდა, როდესაც თვალებზე ცრემლმორეული იდგა 7 აპრილს, დაღუპული რევოლუციონერების საფლავებთან! მოედანზე დაღუპული გულუბრყვილო ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ ქვეყანაში უკეთესი ცვლილებების გამო; ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი დაღუპვა უაზრობა არ იქნებოდა! მაგრამ მათ მაშინ არ იცოდნენ, რომ კვდებიან ერთი სისხლისმსმელის ტყვიებით, რათა დამყარებულიყო მეორე, ხარბი და უპრინციპო მექრთამის ხელისუფლება“.

ოპოზიციის კანდიდატმა ომურბეკ ბაბანოვმა გამოაცხადა, რომ თავისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში დაიწყებს ატამბაევის მმართველობის შედეგების დეტალურ გამოძიებას. ეს კი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ატამბაევის „შემთხვევით“ გაჩენილ ბიზნესს, არამედ მისსა და მისი გარემოცვის ხელშეუხებლობას. ამასთან, ატამბაევს არ უნდა ჰქონდეს მეზობლების იმედი, რომ ისინი მას დაეხმარებიან, რადგან მან მოახერხა და ყველა მათგანთან გაიფუჭა ურთიერთობა, ამიტომაცაა „შეტევაზე“ გადასული და მათ ბრალს სდებს ყირგიზული დემოკრატიის წინააღმდეგ ქმედებებში.

ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ატამბაევმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას მიმართა, რათა არ დაეშვა ქვეყანაში თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები. ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მასმედიაში გაჩნდა სიუჟეტები და სტატიები სათაურებით: „ომურბეკ ბაბანოვი – უპრინციპო მატყუარა“, „ბაბანოვი ყველას ვერ იყიდის“, „ბაბანოვისთვის თავისი ქონება უფრო ღირებულია, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესები“ და ა.შ. ამასთან, იგივე მასმედია პრეზიდენტის პროტეჟეს, აწ უკვე „გამარჯვებულად“ გამოცხადებულ ს. ჟეენბეკოვს წარმოაჩენდა, როგორც სამშობლოს მხსნელსა და მსოფლიოში ყველაზე დემოკრატ ყირგიზს.

მრავალჯერ დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც ქვეყნის პროვინციებში სახელისუფლებო აგიტატორები მოუწოდებდნენ მოსახლეობას, არ მისულიყვნენ ოპოზიციური ტანდემის, ბაბანოვ-ტორობაევის მიტინგებზე. ისეთ ადგილებში, სადაც ოპოზიციის მხარდამჭერები ჭარბობდნენ, ხალხს ეუბნებოდნენ, რომ სულაც არჩევნებზე არ მოსულიყვნენ. დაშინებასა და ზეწოლას ახორციელებდნენ მათ მიმართ, ვინც ღიად გამოხატავდა მხარდაჭერას ოპოზიციისადმი.

საქმე პირდაპირ მუქარებამდეც მივიდა. როგორც ცნობილი გახდა, სამხედრო ნაწილებში მეთაურებმა ბიშკეკიდან მიიღეს ბრძანება, ჯარისკაცებმა აუცილებლად ჟეენბეკოვს უნდა მისცენ ხმაო. მეთაურებს დაევალათ, პირადად გაეკონტროლებინათ ყოველი ჯარისკაცის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენი. ამრიგად, ფაქტობრივად, ჯარში ჩატარებული მთელი საარჩევნო პროცედურა, წესით და რიგით, არალეგიტიმურად უნდა იქნას ცნობილი.

ზოგიერთ რაიონში ანალოგიურ ბრძანებას ჰქონდა ადგილი საბიუჯეტო სფეროს თანამშრომლების – მასწავლებლებისა და ექიმების მიმართ. ზოგიერთი სკოლის დირექტორმა თანამშრომლებს გამოუცხადა, რომ ყოველი მათგანისაგან მოელიან მოხსენებას, სად და ვის სასარგებლოდ მისცეს ხმა არჩევნებზე. ამასთან, მოითხოვეს საარჩევნო ბიულეტენისთვის გადაღებული ფოტოს წარმოდგენა.

ატამბაევმა ყველაფერი გააკეთა თავისი მარიონეტული კანდიდატის ჟეენბეკოვის მიერ არჩევნების მოსაგებად. ცენტრალური საარჩევნო კომისიაც, ბუნებრივია, პრეზიდენტის დე ფაქტო კონტროლს ექვემდებარება და, გაკვირვებას არ იწვევს, რომ ბაბანოვის მომხრეთა ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სადღაც „გაქრა“. ასე და ამრიგად, ა. ატამბაევი იბევებს სრულ ხელშეუხებლობას. თუკი მან თავისი სიტყვა კიდევ ერთხელ დაარღვია და, დაპირების მიუხედავად, მაინც დაიკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებების ფონზე, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ ატამბაევი ყირგიზეთის ფაქტობრივ მმართველად რჩება და თავისი ბიზნესის „კეთებას“ შეუფერხებლად გააგრძელებს.

ის, რომ არჩევნების შედეგების მანიპულირება მოხდებოდა წინასწარ გახდა გასაგები, როდესაც ცესკოდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ არჩევნების „შედეგები“ უკვე მზად იყო. ამასთან, ორი ვარიანტი იყო მომზადებული – ერთი იმ შემთხვევისათვის, თუკი ოპოზიციონერი ბაბანოვი ბევრ ხმას დააგროვებდა და მეორე ტური გარდაუვალი იქნებოდა, ხოლო მეორე (რომელიც ახლა გამოცხადდა) იმ შემთხვევისთვის იყო განსაზღვრული, თუკი ხალხის ნაწილი ზეწოლის ქვეშ არჩევნებზე არ მივიდოდა. როგორც ჩანს, ახლა ამ მეორე ვარიანტს აქვს ადგილი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ატამბაევი ინარჩუნებს რეალურ გავლენას და ძალაუფლებასაც. ყირგიზეთში პირველი დემოკრატიული და გაუყალბებელი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა არ იქნა რეალიზებული.

ულან აკაევი

არჩევნები არჩევნის გარეშე

განვლილ საპრეზიდენტო არჩევნებს ყირგიზეთში ყველა შანსი ჰქონდა ისე დარჩენილიყო ისტორიაში, როგორც იმგვარი ხმის მიცემა, რომელიც წერტილს დაუსვამდა არასტაბილურობის ეპოქას და რესპუბლიკაში ხელისუფლების პირველი სრულყოფილი მშვიდობიანი ტრანზიტის აღმნიშვნელი იქნებოდა. მიმავალი პრეზიდენტის ვადის ბოლომდე თავისი მოვალეობების შემსრულებლისგან –კანონიერად არჩეული სახელმწიფოს მეთაურისთვის ტრანზიტის ეს არჩევნები ისტორიაში დარჩება. ოღონდ სულ სხვა ნიშნით. როგორც სრულიად არაერთმნიშვნელოვანი არჩევნები არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის ისტორიაში.

ყირგიზეთში საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმირების საკითხი მწვავედ ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს იდგა. მთელ სახელმწიფოში აღინიშნებოდა უკანონო აგიტაციის ფაქტები, რასთან დაკავშირებითაც პოლიტიკოსების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეებისგან შემდგარი მოძრაობის „პატიოსანი არჩევნებისთვის“ წევრებმა ზომების მიღების თხოვნით არა ერთხელ მიმართეს ყირგიზეთის პრეზიდენტს, მაგრამ არავითარი ზომები არავის არც ერთხელ არ მიულია, რაც გასაკვირი არ არის. ყირგიზეთის უმაღლესი თანამდებობების პირები თავადვე არა ერთხელ იყვნენ შემჩნეულები ამა თუ იმ კანდიდატის, ყველაზე ხშირად კი სავსებით განსაზღვრული კანდიდატის ლობირებაში.

პრეზიდენტი **ალმაზბეკ ატამბაევი,** თავისი პოსტის გათვალისწინებით, რომელიც იდეაში მას ყველა პრეზიდენტის მიმართ მაქსიმალურ მიუკერძოებლობას ავალდებულებს, ღიად უჭერდა მხარს თავისი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს **სოორონბაი ჟეენბეკოვს**. რაც, რა თქმა უნდა, საარჩევნო კანონმდებლობის ძალზე უხეშ დარღვევას წარმოადგენს. პრეზიდენტის კვალდაკვალ აგიტატორებად ჩაეწერნენ ასევე კანდიდატებისადმი თანაბარი დამოკიდებულების შენარჩუნებისთვის მოწოდებული მთავრობის წევრები და რელიგიური ლიდერები. და, როგორც ჩანს, რესპუბლიკის ჯერ კიდევ მოქმედი მეთაურის თვალის დევნებით აგიტაციის ინსტრუმენტად ყირგიზეთის ადგილობრივი ხელისუფლებიც გახდნენ. **ჟოგორკუ კენეშის** სხდომაზე არაერთგზის გახმიანდა საგანგაშო შეტყობინებები იმის შესახებ, რომ ცალკეულ რაიონებში ხელისუფალთა ბრძანებით ხსნიან ბანერებს პოლიტიკური ლოზუნგებით, შლიან შეხვედრებს ამომრჩევლებთან და ხურავენ ამ ხელისუფალთათვის არასასურველ კანდიდატთა შტაბებს, და ეს არ ხდება შემთხვევით – ეს კანდიდატები ზემოთ ხსენებული სოორონბაი ჟეენბეკოვის მთავარი მეტოქეები არიან. ძნელად დასაჯერებე-

◎ ისტორიის ფურცლები

თემურ-ლენგის სნეულებანი

ძველი გადმოცემით, თუკი დიდი დამპყრობლის — თემურ-ლენგის საფლავს გათხრიდნენ, საშინელი ომი დაიწყებოდა. 1941 წლის 20 ივნისის ღამეს საბჭოთა არქეოლოგებმა სამარყანდში კოჭლი მონღოლი მხედართმთავრის საფლავი გახსნეს და მისი ნეშტი შესასწავლად წაიღეს. მეორე დღეს კი გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

1942 წლის ნოემბერში, არმიის გენერლის ჟუკოვის მეთაურობით მრისხანე ხელმწიფის ნეშტი დიდი პატივით უკან დააბრუნეს და რამდენიმე დღეში მეორე მსოფლიო ომში უმნიშვნელოვანესი გარდატეხა დაიწყო.

ვიდრე თემურ-ლენგის ნეშტი მკვლევართა ხელში იყო, ანთროპოლოგებმა მისი გარეგნობის აღდგენა სცადეს: შეუბრალებელი კოჭლი მბრძანებელი მონღოლისთვის უჩვეულოდ მაღალი — 172 სანტიმეტრის სიმაღლისა იყო. მარჯვენა ხელის ძვლები იდაყვის არეში არასწორად ჰქონდა შეზრდილი, მარჯვენა ფეხის თერძო და წვივი იმდენად დალეული და დასუსტებული იყო, რომ თემურ-ლენგი მათ ძლივს იყენებდა. ამასთან, მარჯვენა ფეხის ტერფის გამრუდების გამო მთელი ტანი ძლიერ გადახრილი ჰქონდა. ამავე დროს, თემურ-ლენგს (ანუ ტამერლანს) სიცოცხლეში ყველა კბილი საღი ჰქონდა, მკერდის მოცულობა მძლავრი, გარდაიცვალა 68 წლისა. მისი ბიოლოგიური ასაკი კი 50 წლისას შეესაბამებოდა.

მეცნიერთა დასკვნით, თემურ-ლენგს ძვალ-სახსართა ტუბერკულოზი სჭირდა, რასაც ძვლების სტრუქტურული ცვლილებებიც მოწმობდა და ის გარემოებაც, რომ ფაქტობრივად, იგი ცხენზე ამხედრებული ცხოვრობდა. თავის ავადმყოფობას კი არა მარტო გარშემო მყოფთ, არამედ საკუთარ თავსაც უმალავდა.

თუმცა, ამის გარდა თემურ-ლენგს მრავალი ნახმალევი ჭრილობა აღენიშნებოდა, რაც ძვლებზე იარების სახით იყო შემორჩენილი. იმ ხანებში ჭრილობების დამუშავების თავისებური წესი მოქმედებდა, რომელიც დიდმა აბუ-ალი იბნ სინამ (ავიცენამ) დაამუშავა და რომელსაც ხელმწიფის ექიმები მკაცრად იცავდნენ.

მიღებული ჭრილობა რაც შეიძლება სწრაფად, გაცხელებული წითელი ღვინით უნდა მოებანათ. ეს იყო განსაკუთრებულად კონცენტრირებული, მხოლოდ სამედიცინო მიზნებისთვის და არა საქეიფოდ განკუთვნილი ღვინო. ჭრილობებს ასევე ავლებდნენ წითელ ღვინოში დამბალი სამკურნალო ბალახების ნახარშს. ამავე სასმელს ავადმყოფსაც ასმევდნენ ხშირ-ხშირად, ოღონდ მცირე დოზებით, შემდეგ კი ვარდის ზეთით გაჟღენთილ საფენებს ადებდნენ, თუმცა კი ასე მხოლოდ უმაღლეს სარდლობას მკურნალობდნენ. ასევე ხმარობდნენ მუმიოს, ზეითუნის ზეთიან ათქვეფილ კვერცხის ცილას, ბროწეულის ყვავილების ნაყენს, ისრების წვერების ამოსაღებად იყენებდნენ გრძელ ზონდებს.

ამ მკურნალობის წყალობით, მრავალჯერ დაჭრილი თემურ-ლენგი კვლავ მწყობრში იყო, თუმცა მორიგი ლაშქრობის დროს ხანმოკლე ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. მის ცხედარს ბალზამირება გაუკეთეს, შავი ხის კუბოში ჩაასვენეს, ვერცხლის ფარჩი შემოაკრეს და სამარყანდს წააბრძანეს. სარკოფაგი კი გურ ემირას მავზოლეუმში მუქი მწვანე ფერის ნეფრიტის ფილის ქვეშ დაასვენეს.

◎ ვუნდერკინდი

პაჭარა პიანისტის „ტორნადო“

შარშან შამოდგომაზე რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის მეტად წარმატებული საბავშვო კონკურსის „ლურჯი ფრინველის“ ერთ-ერთმა გამორჩეულმა მონაწილემ. 5 წლის სტავროპოლელმა **ელისეი მისინმა** ჟიურის წევრის, სახელოვანი პიანისტის დენის მაცუევის თქმით, „ინტერნეტი ააფეთქა“. საქმე ისაა, რომ კონკურსზე ბავშვმა საკუთარი საავტორო ნაწარმოები შეასრულა, რომელსაც „ტორნადო“ დაარქვა.

სადღეისოდ უნიკალური მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი უკვე ხუთი ნაწარმოების ავტორია, სხვათა შორის, ტელეკონკურსისთვის მან ორგანიზატორთა მოთხოვნით სამ კვირაში ბახის კონცერტი ისწავლა, თუმცა კი თავდაპირველად შესასრულებლად ჩაიკოვსკის ნაწარმოებს ამზადებდა.

— სამი წლისა რომ იყო, ედვარდ გრიგის პიესის „მთის მეფის აკლდამის“ დაკვრის სურვილი გამოთქვა, — იხსენებს დედამისი ოლგა. — მაშინ ის სამუსიკო სკოლაში ჯერ არ დადიოდა. ვისგან გამოჰყვა ასეთი ნიჭი, წარმოდგენა არა მაქვს, ჩემმა მეუღლემ მუსიკის სწავლას სულ ორი წელი „გაუძლო“, მე კი საერთოდ არასდროს მისწავლია.

— მუსიკა მე დედიკოს მუცელში ყოფნის დროს მესმოდა, — მოულოდნელად ამბობს ელისეი.

მართლაც, როცა ქალბატონი ოლგა ელისეის მუცლით ატარებდა, მისი უფროსი ქალიშვილი ლიზა პიანინოზე დაკვრას სწავლობდა.

— ყურადღება მივაქციე, რომ ბავშვი მუცელში სხვადასხვანაირად ტოკავდა, ყველა მელოდიაზე განსხვავებულად „ცეკვავდა“, — ამბობს ოლგა მისინა. — ხოლო სიარული რომ დაიწყო, პიანინოს ვერ ვაცილებდით, საათობით იჯდა დის გვერდით და დაკვრაში აყოლას ცდილობდა.

— მოხარული ვარ, რომ ელისეიმ მუსიკის სწავლა არა რვა წლისამ დაიწყო, როგორც ამას ბავშვების უმრავლესობა აკეთებს, არამედ სამი წლისამ, — ამბობს ლუდმილა ტიხომიროვა, 40 წლის სტაჟის მქონე პედაგოგი. — ჩინელები ბავშვებს მუსიკას ხუთი წლის ასაკიდან ასწავლიან და სწორადაც იქცევიან. ელისეი კი უკვე ისეთ ნაწარმოებებს უკრავს, რომლებსაც მუსიკალური სკოლის მეშვიდე კლასში უკრავენ.

მოამზადა ნინო ალექსანდრიამ

ლია, რომ მსგავსი ქმედებები ამ რაიონების ხელმძღვანელთა პირადი ინიციატივის შედეგი იყო და არა ზემოდან წამოსული მითითებებისა.

ამ არჩევნების კიდევ ერთი სკანდალური მომენტი ჟოგორკუ კენეშის დეპუტატის სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ეჭვის ნიადაგზე დაკავება გახდა. დაკავებული კანატ ისაევი პარტია „რესპუბლიკის“ ლიდერის ომურბეკ ბაბანოვის — პროსახელისუფლო ს. ჟეენბეკოვის მთავარი მეტოქის უახლოესი თანამებრძოლია. ეს კიდევ ერთი დამთხვევაა, რომელიც შემთხვევითს არ ჰგავს, ასე არ არის? ბრალი მას ოდნავ მაინც გარკვეული რაიმე მტკიცებულებების წარდგენის გარეშე წაუყენეს და რაც საინტერესოა, საარჩევნო კამპანიის სწორედ იმ მომენტში, როდესაც სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების თანახმად, ჟეენბეკოვის რეიტინგებმა მკვეთრად და უიმედოდ ვარდნა დაიწყო.

ყველა ამ ფაქტის გარდა, იყო კიდევ ასობით სხვაც ისეთი შეტყობინებების მასობრივი გავრცელების ფაქტები, რომლებიც შეიცავდნენ ინფორმაციას ან კანდიდატების მოხსნის, ან პოლიტიკური ძალების გაერთიანების შესახებ. იყო კანდიდატთა მუქარები ერთმანეთის მისამართით, იმ ჟურნალისტების დევნა, რომლებიც ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ მთელ ამ წინასაარჩევნო ბაკქანალიაში და სააშკარაოზე გამოეყვანათ დამრღვევები, და მაკომპრომეტირებელი მასალების მასიური გავრცელება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ თაკილობდნენ გამოექვეყნებინათ აშკარად სუბიექტური, ხშირად კი ცრუ მასალები პრეზიდენტის სავარძლის პრეტენდენტთა შესახებ. განსაკუთრებით ბეჯითობდნენ სახელმწიფო ტელე და რადიოარხები.

ცხადია, ოფიციალური ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე, არც ეს ხდებოდა. ამ პროცესის ლოგიკური კულმინაცია ასეთ კონტექსტში არჩევნებში მონაწილეობაზე დამკვირვებელთა ერთ-ერთი დელეგაციის უარი გახდა. მაგრამ, როგორც შემდეგში გაირკვა, ეს იყო მხოლოდ მოთელვა მთავარი მოქმედების წინ. ხმის მიცემის პროცესი დარღვევათა რაოდენობის მხრივ უპრეცედენტო გამოდგა. ბიულეტენების ჩაყრა, არჩევნების დღეს აკრძალული აგიტაცია და ხმის მიცემა სხვისი საბუთებით. რომ იტყვიან, სრული ნაკრებია. ერთ-ერთ უბანზე დააკავეს ადგილობრივი მაცხოვრებელი, რომელიც ურნაში ერთბაშად 20 ბიულეტენის ჩაყრას ცდილობდა, სხვა უბანზე — იგივეს გაკეთება კომისიის წევრმა დააპირა. მას 56 ბიულეტენი ჰქონდა. და ეს მხოლოდ ის შემთხვევებია, რომელთა დაფიქსირებაც მოხერხდა. და წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენი ამგვარ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომლებიც შეუმჩნეველი დარჩა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ობიექტურად, საპრეზიდენტო არჩევნები ყირგიზეთში, ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობთ, რომ როგორც მინიმუმი, მათი გადახედვა, როგორც მაქსიმუმი — განმეორებითი ჩატარება, სრულიად სხვა ვითარებაში, საერთაშორისო დამკვირვებელთა მეთვალყურეობით, ადმინისტრაციული რესურსების ბერკეტებისგან რესპუბლიკის მოქმედი ხელმძღვანელობის ჩამოშორება საერთაშორისო საზოგადოების მოვალეობაა.

ჩვენ ხომ ყველას კარგად გვახსოვს, რომ ყირგიზეთი მეტისმეტად დიდხანს და მტკივნეულად მიიწევდა იქითკენ, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა გამხდარიყო, საიმისოდ რომ ასე ცალკეულ პირთა წუთიერი ნებით, ან სულაც ჟინით, კვლავ ჩაფლულიყო უკანონობასა და ქაოსში.

ზაზა მეზვრიშვილი

უკრაინაში დავით საყვარელიძის დაცვის წევრი იარაღის შეძენის ფაქტზე დააკავეს

ამის შესახებ განცხადება უკრაინის შს მინისტრის მრჩეველმა ზორიან შკირიაკმა „ფეისბუქზე“ გააკეთა. მისი ინფორმაციით, საქმე ეხება სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლის დავით საყვარელიძის დაცვის უფროსის მოადგილეს.

„ცნობილი გახდა, თუ ვინ დააკავა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა 14 ოქტომბერს, როდესაც ეს ადამიანი ცდილობდა ორი ავტომატის და სამი ყუმბარმტყორცნის შეძენას. დაკავებულებს შორის არის პიროვნება, ზედმეტ სახელად „შუბი“. გამოძიება მიმდინარეობს. მის ვინაობას ჯერ არ ასახელებენ, თუმცა ცნობილი ხდება, რომ ის დავით საყვარელიძის დაცვის უფროსის მოადგილედ მუშაობს“, — აცხადებს შკირიაკი.

არ ვარ მე ის კაცი!.. — წამოიკნავლა სააკაშვილმა

საქართველოს **ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის შს მინისტრის მრჩევლის ზორიან შკირიაკის განცხადებას ეხმიანება, რომლის თანახმადაც, დავით საყვარელიძის დაცვის წევრი იარაღის შესყიდვის ფაქტზე დააკავეს.**

სააკაშვილი ამ განცხადებას ტყუილს უწოდებს და ამასთანავე მოუწოდებს უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე, პირადად პეტრო პოროშენკოს, დაგეგმილ აქციაზე პროვოკაციები არ დაუშვან.

„ვილაცაში გეშლებით, ბიჭებო. მე, მიხეილ სააკაშვილი მარგინალური ჯგუფის ლიდერი არ ვარ, ვილაც არამკითხე არ ვარ, რომელიც ციდან ჩამოვარდა. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც პუტჩს ამზადებს“, — აცხადებს „ფეისბუქის“ პირად გვერდზე გავრცელებულ ვიდეომიმართვაში სააკაშვილი. მისი თქმით, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ ისტორიაში როგორც მშვიდობიანი ამბოხების მაგალითი შევიდა.

„ჩემი შეიარაღებული პროვოკაციების მომზადებაში დადანაშაულება სისულელეა. ნუთუ მართლა ხალხს ხროვად თვლით და ფიქრობთ, რომ ნებისმიერ სისულელეს მიჰყიდით? მშვიდობიანი აქციისას პროვოკაციებზე პასუხისმგებლობას პირადად პოროშენკოს ვაკისრებ და ასევე ავაკოვს“, — აღნიშნა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა.

ოკუპირებული აფხაზეთის მხარდამჭერი ჯგუფი ევროპარლამენტში?

ოკუპირებული **აფხაზეთის მედიასაშუალებების ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ევროპარლამენტში შეესაძლოა აფხაზეთის მხარდამჭერი სადეპუტატო ჯგუფი შეიქმნას, რომელიც აფხაზეთის ე.წ. კეთილი ნების ელჩების საერთაშორისო ჰუმანიტარული ინიციატივების ლობირებას შეუწყობს ხელს. ერთ-ერთი დეპუტატი, რომელიც ამ ჯგუფში გაწევრიანდება, პოლონელი პოლიტიკოსი იანუშ კორვინ-მიკეა. მიკე აცხადებს, რომ ინიციატივას ბევრი დეპუტატი უჭერს მხარს და მას ასევე შეუძლია აფხაზეთში არსებული კულტურული ძეგლების გამოფენა გააკეთოს.**

ევროპარლამენტარი პოლონეთიდან იანუშ კორვინ-მიკე, უკრაინაში პერსონა ნონ გრატადაა გამოცხადებული მას შემდეგ, რაც მან ოკუპირებული ყირიმი მოინახულა. იანუშ კორვინ-მიკე უკრაინას პილონეთის მტერს უწოდებს.

ევროპარლამენტრის აღნიშნულ განცხადებაზე კომენტარისთვის „პირველი რადიო“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ აღნიშნული ინფორმაციის თაობაზე დაუყოვნებლივ მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს: **„არაღიარების პოლიტიკის თანმიდევრული განხორციელება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საგარეო უწყება ინტენსიურად მუშაობს არაღიარების განმტკიცებისა და ამ მიმამრთულებით შესაძლო რისკების პრევენციის მიზნით, ასევე დაუყოვნებლივ ვრეაგირებთ ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს საოკუპაციო რეჟიმების რაიმე ფორმით ლეგიტიმაციას. პოლონელი ევროპარლამენტარის ხსენებული პოსტის შესახებ ინფორმაცია ჩვენ დაუყოვნებლივ მივაწოდეთ საქართველოს შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და დიპლომატიური არხების გზით განხორციელდება სათანადო კომუნიკაცია ამ საკითხზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირი, ევროპარლამენტი და ამ ორგანოში წარმოდგენილი დეპუტატები ერთხმად უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. რაც შეეხება აფხაზეთის რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენას, ძეგლების მდგონარეობის საკითხს, ჩვენ გამუდმებით ვაყენებთ როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, ისე სხვა შესაბამის საერთაშრისო ფორმატებში. თუმცა ჯერჯერობით ვერ ხერხდება ძეგლების გადარჩენის მიზნით მისიების ადგილზე შესვლა რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების წინააღმდეგობრივი პოზიციის გამო“,** — განუცხადეს საგარეო საქმეთა სამინისტროში „პირველ რადიოს“.

◎ ძალოსნობა

სამი ათლეტის რეკორდი

სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით დაიწყეს ალბანურ დურესში ახალგაზრდა და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქართველმა ათლეტებმა. 23-წლამდელებში ტოლი არ ჰყავდა შოთა მიშველიძეს (62 კგ), რომელმაც 134 კილო აიტაცა, 153 კილო აკრა და სამი ოქროს მედალი დაიმსახურა. შოთას ატაცში თანაგუნდელი რამინ შამილიშვილი 10 კილოთი ჩამორჩა, მაგრამ ვერცხლის მედალი მაინც ხვდა. აკვრაში 150 კილოთი მეორე იყო თურქი ფერდი ჰარდალი, მაგრამ მან ატაცში საწყისი წონა ვერ დაძლია და ორჭიდში შეუფასებელი დარჩა. აკვრაში 146 კილოთი შამილიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.



62 კგ. 1. შოთა მიშველიძე (საქართველო) — 287 (134(153); 2. რამინ შამილიშვილი (საქართველო) — 270 (124(146); 3. რომარიო ავდირაი (ალბანეთი) — 257 (112(145).

გოდერძი ბერდელიძე 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალებს. იგი ატაცში 111 კილოთი მეოთხე იყო, აკვრაში სამივე ცდა გამოიყენა და 135 კილოგრამით მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენებურს ამ მოძრაობაში იტალიელმა მირკო სკარანტინომ (143) და რუმინელმა კონსტანტინ ილიე სიოტოუმ (142) აჯობეს.

56 კგ. 1. მირკო სკარანტინო (იტალია) — 258 (115(143); 2. კონსტანტინ სიოტოუ (რუმინეთი) — 255 (113(142); 3. გოდერძი ბერდელიძე (საქართველო) — 246 (111(135).

ლაშა დიდია

სურათებზე: შტანგასთან **შოთა მიშველიძე,** კვარცხლბეკზე — **რამინ შამილიშვილი** (წინ) და **შოთა მიშველიძე; გოდერძი ბერდელიძე.**

◎ საფეხბურთო მოზაიკა

პირველი მსხვერპლი

იტალიის სერია A-ში 8 ტური მიილია და სეზონის პირველი საკადრო ცვლილებაც განხორციელდა. „კალიარის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან მასიმო რასტელი გაათავისუფლა. კლუბს დატოვებენ მისი შტაბის წევრები ნიკოლა ლეგროტალიე და დარიო როსიც.

ამის მიზეზი ზედიზედ ბოლო ოთხი მატჩის წაგება გახდა. „კალიარის“ აქტივში ამ დროისთვის 6 ქულაა და გუნდი სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზეა.

რასტელი „კალიარის“ 2015 წლიდან თავკაცობდა. გასულ სეზონში კლუბმა მისი ხელმძღვანელობით იტალიის ჩემპიონატი მე-12 ადგილზე დაასრულა.

ვინ გაუძღვება მომდევნო მატჩებში კუნძულელებს, ჯერჯერობით უცნობია.



„ოქროს ბურთი“ - 3 მილიონად

„პსჟ“-ს ბრაზილიელი თავდამსხმელი ნეიმარი ფრანგული კლუბისგან 3 მილიონ ევროს მიიღებს თუ „ოქროს ბურთს“ მოიპოვებს.

LeParisien-ის ცნობით, „ბარსელონას“ ყოფილი ფეხბურთელი 3 მილიონს მიიღებს ყველა ჯერზე, როდესაც ზემოთ ნახსენები საპატიო პრიზის მფლობელი გახდება. შეგახსენებთ, რომ 25 წლის მოთამაშეს პარიზელებთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს და ამ თანხის მოგების შანსი არაერთხელ ექნება.

ნეიმარი „პსჟ“-ში მიმდინარე სეზონის წინ გადავიდა. ამ გადაწყვეტილებას თან არაერთი მოსაზრება ახლდა. ბევრი ფიქრობს, რომ ნეიმარს ლეო მესის ჩრდილიდან გამოსვლა სურდა, რათა „ოქროს ბურთის“ მოპოვება მოახერხოს.

„ლესტერი“ კრიზისშია



პრემიერლიგის მერვე ტურის დასკვნითი შეხვედრა „კინგ პაუერ სთედიუმზე“ შედგა, სადაც ადგილობრივი „ლესტერი“ „ვესტ ბრომვიჩს“ დაუხვდა და შინ ქულა გაატანა.

შეხვედრა „მელიების“ უპირატესობით წარიმართა, თუმცა საბოლოოდ ქულის გადარჩენა ძლივს მოახერხა. საწყისი 45 წუთი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა, 63-ე წუთზე კი ნასერ ჩადლიმ ულამაზესი საჯარიმო დარტყმით „ვესტ ბრომვიჩი“ დააწინაურა. მასპინძლები მარცხისგან რიად მაჰრეზმა იხსნა, რომელმაც მე-80 წუთზე ახლო მანძილიდან გაათანაბრა — 1:1.

„ლესტერი“ 6 ქულით მე-18 ადგილზეა, ხოლო „ვესტ ბრომვიჩი“ 10 ქულით მე-10 საფეხურს იკავებს.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

დუდა სანაძე: „ევრობასკეტს ვერასდროს დავივიწყებ“

საქართველოს ნაკრების მსროლელი დუდა სანაძე ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იტალიის სერია A-ს ბინადარ „ფლექს პისტოიას“ შეუერთდა. ქართველი კალათბურთელის ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ ლიგაში მოხვედრა უდავოდ გამოსარჩევია.

WORLDSPORT.GE დუდას იტალიაში დაუკავშირდა — ახალი კლუბის, საქართველოს ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შესახებ გაესაუბრა.

სანაძის განცხადებით, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპზე გადასვლას ეცდება და ამჟამად მთავარი მიზანიც სწორედ ესაა.

— რა ხდება „პისტოიაში“ — როგორ შეეწყვე გუნდს და რა არის მიზანი ამ სეზონში?

— გუნდში ძალიან კარგი გარემოა — კვალიფიციური მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ჯერ შეთამაშების პერიოდში ვარ, რადგან სულ რაღაც სამი შეხვედრა ჩავატარე. მიზანს რაც შეეხება, პლეი-ოფში გასვლაა. ჯერჯერობით კარგი სტარტი გვაქვს.

— რატომ გაიწელა ტრანსფერის გაოფიციალურება?

— უფრო მეტი შემოწმება დამჭირდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. გადაღლილობის გამო ცოტა დასვენების საშუალებაც მომცეს და შემდეგ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— რას ფიქრობ იტალიის სერია A-ზე, რამდენად დაგეხმარება განვითარებაში?

— ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა ევროპაში. ძალიან ბევრი გამოცდილი კალათბურთელი და NBA-ს ყოფილი წევრი თამაშობს. ამიტომაც, ვფიქრობ, დიდ გამოცდილებას მივიღებ.

— ევრობასკეტზე წარუმატებლობის მიზეზი რა იყო?

— ძნელია მიზეზებზე საუბარი. დღემდე ვერ მომინელებია მარცხი და ალბათ, ვერასდროს დავივიწყებ. უბრალოდ, ვიცი, რომ ბიჭები 100%-ით იხარჯებოდნენ ყველა თამაშზე. ზოგიერთი მატჩი ისე არ წავიდა, როგორც გვინდოდა.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი კარსაა მომდგარი...

— ადვილი თამაშები არ იქნება, მაგრამ იმედი და ამბიცია მაქვს, რომ შემდეგ ეტაპზე ვითამაშებთ.

— ილიას ზუროსი საქართველოს ნაკრებში დარჩა...

— ნამდვილად კარგი სპეციალისტია და გამიხარდა, რომ ისევ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად იმუშავებს.

— ზაზა ფაჩულია და ვიქტორ სანიკიძე ნაკრებს დაემშვიდობნენ. სავარაუდოდ, შესარჩევ ეტაპზე ვერც თორნიკე შენგელია და გიორგი შერმადინი ითამაშებენ. როგორ შეიძლება, რომ ეს დანაკლისი აღმოიფხვრას?

— ჯერ არ ვიცით დანაკლისის შესახებ, მაგრამ თუ ასე მოხდა, მაშინ ვერანაირად ვერ მოვახერხებთ ოთხი ასეთი კალათბურთელის სრულფასოვნად შეცვლას. ალბათ, ტაქტიკა შეიცვლება და ყველამ კოლექტიურად უნდა ვეცადოთ, რომ ეს დიდი დანაკლისი ძალიან არ დაგვეტყოს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

აქა ამგავი ელენა მუელერისა

ყოველგვარი დოლ-გარმონისა და დაფა-ზურნის გარეშე წარმოგიდგენთ შესანიშნავ მანდილოსანს, კარგ ოჯახისშვილსა და დიდებულ პიროვნებას, გერმანელ მოდელს ელენა მუელერს, რომელიც „ბუნდესქვეყნის“ საფეხბურთო ნაკრების თილისმადაა აღიარებული და გვარწმუნებს, რომ გერმანელებს ამ კუთხით გემოვნება ნამდვილად არ დაეწუნებათ.

არაგერმანელები ელენას გვარს ხშირად ამახინჯებენ და რატომღაც „მიულერად“ მოიხსენიებენ, რაც მუელერის ქალს არ მოსწონს და ამბობს, ამდაგვარი შეცდომებით ჩემი დიდი წინაპრების: იოაჰიმ, კარლ, ჰელგა, გრეტა და ჰაიდრიხ მუელერების ძვლები საფლავში ტრიალებენ და მე ქალი არ ვიყო, ეს ვინმეს თუ ვაპატიოო.

ელენა სამოდელო საქმეშიც არაა მაჩანჩალა ქალი. მიუხედავად იმისა, რომ თანამემამულე კლაუდია შიფერისნაირ აღიარებამდე გვარიანად ბევრი უკლია, მაინც საკმაოდ ცნობილი ვინმეა და მისი თამამი ფოტოების თვალიერება ჰაი, ჰაი რომ ერთ რამედა ღირს...

როსტომ რაჭველიშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნათია ცარციძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათია ცარციძე (პ/ნ 42001009688), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №30, ბინა №38.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №30, ბინა №38 (საკადასტრო კოდი: 04.01.09.672.01.038).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 6883.38 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 18 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47504317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 475043
6. **მოვალე:** ვიტალი სემილეტოვი (პ/ნ 42001023025), ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №33, ბინა №40;
ნათია ცარციძე (პ/ნ 42001009688), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №30, ბინა №38.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47504317; ლოტის ნომერი: 475043).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 3 ნოემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს "ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ესმა ქირიკაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, ი. პეტრიწის ქ. №1, სართული 5, ბინა №19 (საკადასტრო კოდი: 26.26.47.056.01.019).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16726.8 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 18 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47505317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 475053
6. **მოვალე:** იმედი გორგილაძე (პ/ნ 61004026015), ქობულეთი, სოფ. სახალვაშო;
ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს 'ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47505317; ლოტის ნომერი: 475053).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 3 ნოემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

აქციაზე დაზარალებული მოქალაქე სამართალს ექვსი წელი ელოდა

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისას დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ შსს-ს 30 000 ლარი დაეკისრა.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქე გ.გ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 30 000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევისას დაზარალებული მოქალაქის ინტერესებს სასამართლოში ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა.

2011 წლის 26 მაისს ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტთან მიმდინარეობდა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რომლის ძალადობრივი გზით დაშლისა და მომიტინგეთა მასობრივი დაკავების ბრძანება გასცა შს მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა. საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილე გ.გ.-ს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გაურკვეველი იარაღის გამოყენებით მძიმედ დაუზიანეს ფეხი, მან მიიღო სხეულის დაზიანებები და უმძიმესი დიაგნოზით მოთავსდა კლინიკაში. ამ ქმედებისთვის ივანე მერაბიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2014 წლის 27 თებერვალს გამოტანილი განაჩენითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 აგვისტოს განაჩენით, დამნაშავედ არის ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის – სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლობით მომზადდა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად. 12 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დააკისრა მოქალაქის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 30000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, თბილისის საქალაქო სასამართლომ 13 ივლისს შსს-ს კიდევ ერთი დაზარალებულის – ო.ჩ.-ს სასარგებლოდ დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება, 5 000 ლარის ოდენობით. ო.ჩ.-ს სამართლებრივ დახმარებას ადამიანის უფლებათა ცენტრი უწევდა, – ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობისა თუ საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ხოლო დაზარალებულთა უფლებების აღდგენა და მათი რეაბილიტაცია უნდა მოხდეს სამართლიანი სასამართლოს პირობებში“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკა ვერულეიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკა ვერულეიშვილი (პ/ნ 60001148869), ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №92, ბინა №9.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16ბ, სართული 2, ბინა №8 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.154.01.02.008).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 76747.38 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 3 ნოემბერი, 16:30 საათი.
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. **მოვალე:** ვასილ ვერულეიშვილი (პ/ნ 60001038840), ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ.№92, ბინა №9.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 3 ნოემბრის 16:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

„სასარგებლო“ სტრესები

იმისათვის, რომ ქალა-ტვინი განვითარდეს, აუცილებელია, მას მუდამ რთული ამოცანების გადაწყვეტა უწევდეს, აცხადებენ ამერიკელი ნეირობიოლოგები.

მათ 70 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა ჯგუფი გამოიკვლიეს, რომლებმაც მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოეშვათ. ორი წლის შემდეგ ხელმეორედ ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ყველა მათგანს პრობლემები ჰქონდა დამახსოვრებასთან დაკავშირებით, თუმცა იყო გამონაკლისიც. ამ ჯგუფის წევრებს დროის განვლილ პერიოდში გარკვეული სტრესული ვითარებების გადატანა მოუხდათ. აღმოჩნდა, რომ ისეთი მოვლენის გამო, როგორიცაა ვთქვათ, თანამეცხედრის მძიმე ავადმყოფობა, მათ ტვინს უფრო აქტიურად მუშაობა უხდებოდა, რასაც ძალიან კარგი შედეგი მოყვებოდა.

მეცნიერები იმასაც აცხადებენ, რომ სტრესებისგან ზედმეტად არც ბავშვები უნდა დავიცვათ, რადგან ის ადამიანები, ვისაც ცხოვრებაში არანაირი პრობლემა არ ჰქონია, ისევე არიან მიდრეკილი დეპრესიებისადმი, როგორც ისინი, ვისაც სერიოზული უბედურების გადატანა მოუხდათ.

მკვლევართა აზრით, **საშუალო სიმძიმის სტრესი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.**

„დაუფასებელი“ ღვინის ქვეყნები

სამმაგ წრეებში ცნობილმა ჟურნალისტმა ღვინოსა და, ზოგადად, ღვინის კულტურაზე მწერალმა (კოლუმნისტმა) კორესპონდენტმა ლორენ მოვერიმ საქართველო იმ ქვეყნების რიცხვში შეიყვანა, რომლებიც აუცილებლადაა სანახავი.

სტატიაში „12 საუკეთესო, ჯეროვნად შეუფასებელი ღვინის მწარმოებელი რეგიონი, რომელიც 2017 წელს უნდა ინახოს: „სახელმძღვანელო თვიდან თვემდე“, მან საქართველოს შესახებ დაწერა, რომ საქართველო ღვინით განსაკუთრებულად განთქმული მხარეა. კავკასიონის მისადგომებთან მდებარე კახეთი, სადაც სტუმრობას მიმზიდველს, ჩინებული ღვინის გარდა, უგემრიელესი კერძებიც ჰქმნის.

საგულისხმოა, რომ ღვინით გამორჩეულ მსოფლიოს მხარეებს შორის, ლორენ მოვერიმ „ჯერაც საკმარისად დაუფასებელი“ მეღვინეობის ქვეყნების საკმაოდ მოულოდნელი ნუსხა შეადგინა. ესენია, კერძოდ, **ჩილე, ახალი ზელანდია, არგენტინა, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იტალია და სამხრეთი აფრიკა.**

ვინ რას „გვაჭმევს“?

ევროპის მრავალ ქვეყანაში აიკრძალა გენმოდიფიცირებული სურსათი, თუმცა კი დიდი ხნის მანძილზე ამტკიცებდნენ, რომ მათ ადამიანის ორგანიზმისთვის არანაირი ზიანი არ მოაქვთ.

ხელისუფალთა ამ გადაწყვეტილებაზე დიდი ზეგავლენა იქონია მოსახლეობის უნდობლობამ — ძალაუფლებაში დასარჩენად პოლიტიკოსები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. გენმოდიფიცირებული კულტურების მოყვანაზე უარის თქმა სადღეისოდ უკვე გადაწყვიტეს **ავსტრიაში, ბულგარეთში, ხორვატეთში, კვიპროსზე, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, იტალიაში,** სხვაგან. ინგლისი კი ბრიტანეთის კუნძულებზე ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გენმოდიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა ნებადართულია. გენმოდიფიცირებული კულტურების მოყვანა აკრძალული იყო ბრაზილიაშიც, მაგრამ ამჟამად ეს აკრძალვა გაუქმებელია. ამ ტიპის კულტურები ასევე მოჰყავთ **ამერიკის შეერთებულ შტატებში** (ამ ქვეყნიდან გენმოდიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსოფლიო მოცულობის ნახევარი გააქვთ!), **კანადაში, ინდოეთში, ჩინეთსა და არგენტინაში.**

ბიჭები და გოგონები

გოგონები პირველობას ბიჭებს 6 წლის ასაკში უთმობენ.

მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომლის თანახმად სწორედ ამ ასაკში ეყრება საფუძველი გენდერულ სტერეოტიპს, რომელთა მიხედვით ბიჭები უნდა ინტერესდებოდნენ „გონიერი“ საგნებით (მათემატიკით, ფიზიკით), გოგონების ყურადღებას კი უფრო მეტად ან ყოველდღიური ამბები უნდა იპყრობდნენ (მაგალითად, ყოფის მოწყობა) ანდა ამაღლებული „რაღაც-რაღაცები“ (ვთქვათ, პოეზია, ცეკვები).

ჯანი სწორად გეჭიროთ!

კარგი აღნაგობა გუნებ-განწყობას აუმჯობესებს.

მეცნიერებმა დეპრესიის სიმპტომების მქონე მოხალისეები გამოიკვლიეს. მათ ერთ ნაწილს აღნაგობის გაკონტროლება სთხოვეს, სხვები კი პოზებს თავისით ირჩევდნენ.

მოხალისეთაგან პირველი ჯგუფის წევრები გარშემო მყოფებთან უფრო ხალისიანად ურთიერთობდნენ და ნაკლებად დაიღალნენ. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საკუთარ თავზე კონტროლის გაწევის აუცილებლობა ადამიანს „საკუთარ თავში ჩაკეტვისა“ და ნეგატივზე ფიქრის დროს არ უტოვებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

საჭყუარა

ერთმა ნიუიორკელმა ვაჭარმა თავისი მაღაზიის ვიტრინაში ორთოგრაფიული შეცდომებით სავსე რეკლამა გამოფინა. ვაჭრის ერთ-ერთმა მეგობარმა ყურადღება მიაქცია ამას. ვაჭარმა აუხსნა:

— ამ რეკლამის წყალობით კლიენტებს ჰგონიათ, რომ ნამდვილად იდიოტი ვარ და იმედოვნებენ, რომ მაღაზიაში, რომელიც იდიოტს ეკუთვნის, სარგებელს ნახავენ. არადა, სარგებელს მე ვნახულობ.

არაჩვეულებრივი ზანგი

ზანგმა წმინდა პეტრეს წინ მუხლი მოიყარა.

— მე ჯო გლენი ვარ, — თქვა ზანგმა.

სამოთხის მეკლიტურმა ბედილბლის დიდ წიგნში ჩაიხედა და უთხრა:

— შენ მკვდრების სიაში არ წერიხარ.

— ნამდვილად ჯო გლენი ვარ, სელმელი ალაბამის შტატიდან.

— სამწუხაროდ, მკვდრების წიგნში არა ხარ შეყვანილი.

— ალბათ, იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი ზანგი ვარ, თეთრ ქალზე ვიქორწინე, — თქვა ჯო გლენმა.

— ჰოო! როდის?

— ათი წუთის წინ!

სამი შესაძლებლობა

ოჰაიოს შტატის სადაზღვევო სააგენტოში მიდის ახალგაზრდა ქალი.

— ჩემი ქმრის სიკვდილის შემთხვევაში დაზღვევის რა თანხას მივიღებ? — ეკითხება იგი თანამშრომელს.



გამოცდილმა დაზღვევის აგენტმა შეათვალიერა ქალი და მიუგო:

— თუ სიბერისგან ანდა ავადმყოფობის გამო მოკვდა, 10 ათას დოლარს მიიღებთ, თუ კატასტროფაში დაიღუპა — 20 ათას დოლარს, ხოლო თუ არც სიბერისგან და არც ავადმყოფობის გამო მოკვდა, არც კიდევ კატასტროფაში დაიღუპა და მიზეზი თქვენ უკეთესად გეცოდინებათ, მაშინ 30 წელს მიიღებთ.

დაზღვევა

მექსიკელმა ფერმერმა თავისი სახლი იმ იმედით დაწვა, რომ დაზღვევას მიიღებდა. აგენტმა აუხსნა, დაზღვევის ფულს ვერ მიიღებთ, მაგრამ კომპანია თავისი სახსრებით ისეთივე სახლს აგიშენებთ, როგორიც დაგეწვათო.

გაცოფებულმა ფერმერმა ეგრევე შეჰღრიალა:

— თქვენს კლიენტებს თუ ეგრე უზრუნველყოფთ, მე ახლავე ვწყვეტ ჩემი ცოლის სიცოცხლის დაზღვევას!

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4826; ევრო - 2.9305;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3029;
100 რუბლი - 4.3371; თურქული ლირა - 0.6807;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4628;
1000 სომხური დრამი - 5.1581.

ამინდი 18 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge